# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 7 ივნისი. 2024 წ. №67 (9747) ელ.ფოსტა: sak@sak.ge ფასი 1 ლარი


# გადავრჩებით, თუ საქართველოს სუვერენიტეტისთვის ბრძოლაში მართლა გავერთიანდებით!

ის, რაც ვიხილეთ ჩვენ კონგრესში, ეს იყო ჩვეულებრივი ღალატი, პირდაპირ ვიტყოდი ამას. დიახ, ვანო და ნატალია სერგო ორჯონიკიძეები საუბრობდნენ საქართველოსთან დაკავშირებით, ეს იყო ჩვეულებრივი ღალატი, ეს იყო ჩვეულებრივი ბოლშევიკური ღალატი, ამას სხვა სახელი უბრალოდ, არ შეიძლება დაერქვას. რაც ძალიან დასანანი და სამწუხაროა!

ირაკლი კობახიძე




## – ვახტანგ დავითაია: – „არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე“




## არქიტექტურულ-ურბანული კომპრომისების ლიმიტი ამოიწურა



## ევროპული ტიპის საქართველოს ⑤ ასაშენებლად მაინც შევიგდეთ, თორემ...

# პოლარიზაცია სახელმწიფოებრიობას დაგვაკარგვინებს

## დავით თედორაძე




## შენ ხარ მგოსანი...

## ყოჩაღ, ფრანგებო!







## დაკავებულია ორი რეალური ტერორისტი

## აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილი და როლი ისლამურ სამყაროში ⑧

## სამედ ბაირამზადე



# შულავერის კომიტეტის წევრები ამერიკის კონგრესში






**აშშ-ის კონგრესში მსჯელობისას, რომელიც საქართველოში არსებულ ვითარებას შეეხებოდა, მონაწილეობა ფონდ „ღია საზოგადოების“ ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერმა ივანე ჩხიკვაძემ და საქართველოს ყოფილმა ელჩმა ევროკავშირში ნატალია საბანაძემ მიიღეს. მათ შორის იყო „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი. მომხსენებელმა ნატალი საბანაძემ აღნიშნა, რომ პიროვნებები, რომლებმაც საკუთარი საეჭვო ბიზნეს-საქმეებისთვის საქართველოს რუსეთის „ნაცრისფერ სივრცედ“ გადაქცევა გადაწყვიტეს, უნდა დაისაჯონ! მან მიმართა კონგრესმენებს, რომ დაეხმარონ საქართველოს ბრძოლაში, რომ ქვეყანა არასწორ მხარეს არ აღმოჩნდეს.**

საბანაძე საქართველოს დასჯის ზომად სანქციებს ასახელებს და ფიქრობს, რომ დასჯა მიზნობრივი უნდა იყოს. პიროვნებებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, რაც მოიცავს ვიზის აკრძალვებს და ფინანსურ სანქციებს. იგივე პათოსით წარსდგა ამერიკელი კონგრესმენების წინაშე ვანო ჩხიკვაძეც, რომლის განაცხადებით, როდესაც ქართველი ხალხის ხმა გაიგონეს ვაშინგტონში და ევროკავშირის დედაქალაქებში, ის ვერ გაიგო მმართველმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“ და ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, საქართველოს ოფიციალურმა პირებმა საქართველოსა და დასავლეთს შორის კედელს აღმართავენ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით.

საქართველოს წინააღმდეგ გამომსვლელი ვანო ჩხიკვაძე ცდილობდა კონგრესმენების დარწმუნებას იმაში, რომ კანონი სრულიად გააქრობს კრიტიკულ ხმებს და ცოცხალ სამოქალაქო საზოგადოებას გაანადგურებს, რომელიც ქვეყანაში ამერიკელი მეგობრების გულუხვი დახმარებით აშენდა წლების განმავლობაში, მათ შორის USAID-ის მეშვეობით. მისი თქმით, კანონი ეწინააღმდეგება აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიას, რომელიც დამოუკიდებელი მედიის, გამოხატვის თავისუფლებისა და ობიექტური ახალი ამბებისა და ინფორმაციისადმი წვდომის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

ქართველი მომხსენებლები, რომლებიც რეალურად საქართველოს დასჯას ოფიციალურად ითხოვენ, ჭერჭერობით ისევ კონგრესის დერეფნებში დარბიან და საქართველოს წინააღმდეგ აგრძელებენ მოქმედებას. მათ შორის შალვა ნათელაშვილი, რომელსაც სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ ოფიციალურად სდებდა ბრალს რუსეთის აგენტობაში. თუმცა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ქართული ოპოზიციის ფანჩატურის ხელმძღვანელი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იმ ადამიანთა რიგებში შეიყვანა, რომლებიც „პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან“ გამომდინარე მოგზაურობს აშშ-ში და მართავს „მნიშვნელოვან“ შეხვედრებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საბანაძისგან და ჩხიკვაძისგან განსხვავებით, ნათელაშვილის ფუნქცია დარბაზში შესვლით შემოიფარგლა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ვინ დააფინანსა სამივე ვიზიტორის ვოიაჟი აშშ-ში, რაც მათ უკვე ე.წ. „რუსული კანონის“ შესაბამისად უნდა გაასაჯაროვონ.

**პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ის, რაც ვიხილეთ კონგრესში, იყო ჩვეულებრივი ღალატის.**



**„გუშინ რაც ვიხილეთ ჩვენ კონგრესში, ეს იყო ჩვეულებრივი ღალატი, პირდაპირ ვიტყოდი ამას. გუშინ, ვანო და ნატალია, სერგო ორჯონიკიძეები საუბრობდნენ საქართველოსთან დაკავშირებით, ეს იყო ჩვეულებრივი ღალატი, ეს იყო ჩვეულებრივი ბოლშევიკური ღალატი, ამას სხვა სახელი უბრალოდ, არ შეიძლება დაერქვას. რაც ძალიან დასანანი და სამწუხაროა“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მძიმე მოსასმენია, როცა კონგრესში ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც ანტიქართულ დეზინფორმაციას იმეორებენ, თითქოს სააკაშვილი პოლიტპატიმარია, მის მიმართ მოპყრობა არის ცუდი.

**„არ ვიცი, რაღა უნდა მოხდეს ამ პლანეტაზე, რა შეიძლება კიდევ იყოს არგუმენტი იმისა, საქართველოს ხელისუფლებას თუ რამხელა დეზინფორმაციის წინააღმდეგ გვიწევდა ბრძოლა ორი წლის განმავლობაში. ფაქტობრივად, ქვეყანაში გვყავს კასტა, ოპოზიციის და ენჯეოების სიმბიოზი, რომელიც ჩვეულებრივი ორჯონიკიძეები არიან, კავშირი არა აქვთ ქართველ ხალხთან. თავიდან უცხო დროშაზე ადგნენ ფეხზე, შემდეგ უცხო ქვეყნის ჰიმნი იმღერეს, შემდეგ უცხო ქვეყნის პოლიტიკოსზე ააწყვეს თავისი დღის წესრიგი და ბოლოს უცხო ქვეყნის დედაქალაქში ჩავიდნენ და საკუთარი სამშობლო დაასმინეს.**



**საქართველოს კურსს ადგენს და აფასებს ქართველი ხალხი და არა რომელიმე უცხო ქვეყნის მოქალაქე თუ ხელისუფლების წარმომადგენელი. ეს ჰგონიათ ჩხიკვაძეებს და საბანაძეებს. ასეთ ორჯონიკიძეებს ჰგონიათ, რომ სხვა ქვეყანამ უნდა შეგვიფასოს ჩვენ მოსაწონი კურსი გვაქვს, თუ არამოსაწონი. 26 ოქტომბერს არჩევანი ხალხს აქვს ძალიან ცხადი და სალომე ზურაბიშვილმა ეს კიდევ უფრო ცხადი გახადა, როდესაც ამ ორჯონიკიძეების სია შეადგინა ომის ქარტიის სახით.**

**ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ ცხადად აჩვენა, რომ არჩევანი სინამდვილეში არის ან ქართული ინტერესი, ან უცხო ქვეყნის ინტერესი. სხვა არჩევანი 26 ოქტომბერს არ იქნება. ამიტომ, ქართველმა ხალხმა უნდა აირჩიოს, ჩვენ გვინდა ვიყოთ დამოუკიდებელი ქვეყანა, თუ ჩვენ გვინდა გვყავდეს მარიონეტული რეჟიმი“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით ხაჭიშვილი მიიჩნევს, რომ მის მეგობრებს კონგრესში ზუსტი შეფასება ჰქონდათ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და აქიდან გამომდინარე, ფიქრობს, ივანიშვილი და მისი პარტია აუცილებლად დასანქცირდებიან.



**„სამწუხაროა, რომ ეს სანქციები მხოლოდ მათზე არ აისახება, ეს აისახება ჩვენს მოსახლეობაზე, რადგან ჩვენ ვნახეთ, რომ როგორც კი იყო ერთი განცხადება, რომ ისინი დასანქცირდებიან, ამის შემდეგ გაუფასურდა ლარი, ინვესტორები უარს ამბობენ ქვეყანაში ფულის ჩადებაზე, ტურისტებმა გააუქმეს თავისი საგზურები საქართველოში და სამწუხაროდ, ეს აისახება ყველაზე, რადგან ივანიშვილს მძევლად ჰყავს აყვანილი მთელი ქვეყანა და ვაჭრობს ჩვენი მომავლით. ეს პროცესი დასრულდება 26 ოქტომბერს, როდესაც ჩვენი მოსახლეობა უარს ეტყვის ივანიშვილს და მის პარტიას“,** – განაცხადა **დავით ხაჭიშვილმა.**

პარტია „გირჩის“ ლიდერი **იაგო ხვიჩია** ფიქრობს, რომ კონგრესში გამოსვლა „ქოცნაცური დაპირისპირების“ ნაწილია. სხვა მხრივ, მისი თქმით, როგორ შეიძლება, გინდოდეს, რომ საკუთარი ქვეყანა და მისი ხელმძღვანელობა დასანქცირდეს.

**„საქართველომ დიდი ხანია, მოახერხა ყველაფრის ქოც-ნაცურ დაპირისპირებად ქცევა. უკრაინის ომის საკითხი ქოცნაცური დაპირისპირების ნაწილია, კონგრესში გამოსვლა ქოც-ნაცური დაპირისპირების ნაწილია, ზოგადად, ყველაფერი ამ თემის ნაწილია, თორემ**



**როგორ შეიძლება, გინდოდეს, რომ საკუთარი ქვეყანა და მისი ხელმძღვანელობა დასანქცირდეს. როგორ შეიძლება, არ გინდოდეს, დალაგდე ამერიკელებთან და ოცნებობდე, რომ დაგასანქცირებენ.**

**ამერიკელებს თუ ებრძვი, ისედაც ხომ მოლოდინი გაქვს, რომ დაგასანქცირებენ. ამერიკის სახელმწიფო მდივანიც თუ ამას გეუბნება, რაღაცნაირად შენთვისაც ხომ გასაგებია, რომ აქამდე თვითონ მიგყავს ეს ამბავი. სხვას დააბრალო, ჩემს სანქცირებას ითხოვენ და მოღალატეები არიანო – სხვა კი არ ითხოვს, შენ მიდიხარ ამისკენ“,** – განაცხადა **იაგო ხვიჩიამ.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** აცხადებს, რომ ისტორია მეორდება თავის შავ ფერებში. კერძოდ, 21-ე საუკუნის უსამშობლო ხუტლუბუღებმა **(ხუტლუბუღა ჩავიდა საყაენოში და მოითხოვა, სიკვდილით დაესაჯათ მეფე დემეტრე II, რაც კიდევაც აღასრულეს დამპყრობლებმა)** თავიანთ პატრონებთან და „დემოკრატიის“ საბაბით მოითხოვეს იმ ქვეყნის დასჯა, რომელშიც საუბედუროდ, დაბადებულნი და გაზრდილები არიან და არა აღზრდილები. როგორც გვენეტაძე აცხადებს, ასეთი სულგაყიდულები, სამწუხაროდ, მრავლად ჰყოლია საქართველოს.



**„ჩხიკვაძეები, ხუციშვილები, საბანაძეები, ნათელაშვილები... სამწუხაროდ, მრავლად ჰყოლია საქართველოს, რომელთა კოლექტიური სახელი საქართველოს ისტორიის მიერ მოხდენილადაა შეფასებული ხუტლუბუღა-ყორღანაშვილებად, რომელთა აყროლებულ ლეშებს მგლებმა და სვავებმაც კი არ დააკარეს პირი! ნეტავ, თუ იციან ამ უბედურებმა რა სახელი აქვთ გარანტირებული ფულის დახარბების გამო მომავალი თაობების წინაშე?**

**1795 წლის 11 სექტემბერს იმ მხარის ვაჟკაცები, რომელნიც ისტორიაში შესულნი არიან, როგორც 300 არაგველნი, კრწანისის მიდამოებში ერთიანად შეაწყდა უცხო ჯიშის მოღალატეთა მიერ ვერაგულად დაბრუნებულ დასაჭურისებულ აღა-მაჰმად ხანის ლაშქარს და შარავანდედით შეიმოსნენ ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ საქართველოში! მაგრამ გადის ზუსტად 229 წელი და სამწუხაროდ, იმ არაგველთა სანახებში დაბადებულმა, მაგრამ ქართულად და საქართველოსთვის ვერგაზრდილმა და საუბედუროდ მოღალატედ აღზრდილმა შალვა ნათელაშვილმა ვერ სძლია სიხარბეს და ბოროტებას მისას! საბოლოოდ ირჩია და გაჰყვა ნაცად გზას ყორღანაშვილისას და მკაფიოდ გამოამჟღავნა ორგული, ორპირი, გამყიდველური ბუნება, მამულის, ენისა და სარწმუნოებისადმი“,** – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ფიქრობს, რომ ნატალია საბანაძის და ივანე ჩხიკვაძეს კონგრესში გამოსვლა იყო მდაბიო პოლიტიკური სტრიპტიზის მაგალითი, რომ „იქ“ თავი მოაწონონ. მისი თქმით, ამ არსებასთან მიმართებაში, რომელიც ხელისუფლების საკადრო შეცდომაა ნამდვილად, ყველაფერი ნათელია.



**– დია, ამ არსებასთან მიმართებაში, რომელიც ხელისუფლების საკადრო შეცდომაა ნამდვილად, ყველაფერი ნათელია. მდაბიო პოლიტიკური სტრიპტიზის მაგალითი აჩვენა, რომ „იქ“ თავი მოაწონოს. აქ ვის უნდა მოაწონოს თავი? სავარაუდოდ, მის პარტიას და მის ბოსს გიორგი გახარიას, რომლის მრჩეველიც გახლავს. ახლა გამოვიდეს გახარია და მისი პარტია და საჯაროდ განაცხადონ, იზიარებენ თუ არა ამ სისაძაგლეს და არის თუ არა საბანაძის პოზიცია თავად გახარიას და მისი პარტიის პოზიცია. თუ ამას არ გააკეთებენ უახლოეს საათებში, მაშინ მათი დუმილი, უბრალოდ, თანხმობის ნიშანი იქნება. სხვა**

ვარიანტი არ არსებობს, – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

რაც შეეხება ამერიკის პოლიტიკას და ზარალდება თუ არა ამ სანქციებით ამერიკული პოლიტიკა, პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ ქართველ მოსამართლეებს, რომლებიც უკვე დაასანქცირეს, არაფერი დაუშავდა სანქციებით, მაგრამ ის ნაბიჯი, რომ ამერიკამ გადაწყვიტა სანქციების გატარება მოსამართლეებზე, რომელიც გაკეთდა ბლინკენის მხრიდან, გამოძახილი ჰპოვა საქართველოში.



**– ეს მარტო ამერიკის მიმართ გამოძახილი არ არის. თავისთავად, ადრეც იმედგაცრუების ფრაგმენტი იყო, როცა ევრკავშირის წევრობის კანდიდატობა სათხოვნელი გაგვიხადეს იმ ფონზე, რომ ჩვენს გვერდით მოხსენიებული უკრაინა და მოლდოვა აღიარეს. რაღაცა დრო დასჭირდათ, რომ მიეღოთ გადაწყვეტილება, მაგრამ რეალურად არსებითი მოვლენა იყო ის, რომ არ უნდოდათ აღიარება და მერე დაფიქრდნენ და გვაღიარეს.**

**ანუ, ევროკავშირის და ამერიკის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ არის დალაგებული, არეულია. იგივე პოზიცია აქვს რუსეთს. აფხაზური და ოსური პრობლემა რომ არ გაეჩინა საქართველოსთვის, საქართველოზე უფრო რუსული ორიენტაციის ქვეყანა არც იყო საბჭოთა კავშირში. არანაირი საჩხუბარი მიზეზი რუსეთთან არ გვქონდა. მაგრამ აფხაზეთის პრობლემის მერე გაჩნდა, მით უფრო 2008 წლის მერე, როცა აღიარეს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებულობა და გაუქმნდა დიპლომატიური ურთიერთობა.**

**რა საჭირო იყო ჯერ ჩარევა საქართველოს შიდა კონფლიქტებში და მერე აღიარება, ეს ძნელი სათქმელია. საქართველოში რუსეთის იმიჯის თვალსაზრისით, რუსეთი მოგებული არ იყო. მოგებული იყო იმით, რომ გვაიძულა, ამ ნაბიჯით ანგარში გაგვეწია რუსეთისთვის, მაგრამ არ გაუწია საქართველომ. ნავთობსადენიც გაატარა და ორიენტაცია აიღო ევროპისკენ. ანალოგიურ პროცესებს ვაკვირდებით ამერიკის შემთხვევაში როცა მოქმედებს იძულების პრინციპი. ამიტომ, ამ შემთხვევაში მოგებული ვერ იქნება ამერიკა,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# ნომრის ციტატები

**– იმედი მაქვს,** რომ რაც ილაპარაკეს კონგრესის ამ ჯგუფის შეკრებაზე ქართველმა სერგო ორჯონიკიძეებმა, არ იქცევა კერძო გადაწყვეტილებად, ვინაიდან ეს იქნება წმინდა მეგობრული ცეცხლი, **friendly fire** როგორც ამბობენ. ამერიკის შეერთებული შტატების გვერდზე საქართველო იდგა ყოველთვის, განსაკუთრებით 2012 წლის შემდეგ. არც ერთხელ საქართველოს ხელისუფლებას არ დაუშვია რაიმე გადახრა იმ კურსიდან, რომელიც კონსტიტუციაში არის აღწერილი.



**გიორგი ვოლსკი.**



**– რატომ** შეიძლება დასაჯო პოლიტიკოსი ან ქვეყანა იმისათვის, რომ მან მიიღო კანონი?! ერთეულების პოზიციებს აქ მნიშვნელობა არა აქვს – მე საკმაოდ მაღალი წარმოდგენა მაქვს ევროკავშირზე. ვერასდროს ვერ შევადარებ ევროკავშირს [რუსეთს] და ვერ დავდებ მას ბრალს, რომ ის თავში გაივლებს რუსული მეთოდების მსგავსად იმოქმედოს პარტნიორ ქვეყანასთან და დასჯის მეთოდებით ელაპარაკოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი განხილვა თუ შედგება, ძალიან სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკავშირი იმისათვის, რომ ჩვენ, საქართველომ და ევროკავშირმა ერთად შევძლოთ მუშაობა იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი.

**მაკა ბოჭორიშვილი.**

**– ერთადერთი,** რაც დასავლეთს დარჩენია, სანქციებით დამუქრებაა, თუმცა იმასაც კი ვერ ამბობენ, რის წინააღმდეგ იქნება ეს სანქციები. ამბობენ, სანქციების დაწესების შემთხვევაში დასანქცირებულთა სია არ გასაჯაროვდება, რადგან ეს არადემოკრატიული იქნებაო. იმუქრებიან, რომ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი შეიძლება საქართველომ არ მიიღოს, თუმცა ავიწყდებათ, ეს მუქარა არ ეხება საქართველოს. ამ ფულს არ მიიღებს ლომჯარია, გიგაური და დანარჩენი ენჯეოების წარმომადგენლები. ვერ ვიხსენებ ვერც ერთ დაწყებულ მშენებლობას, რომელიც ამერიკიდან შემოსული ინვესტიციებით დავიწყეთ და შეიძლება გვეშინოდეს, რომ სანქციების გამო ვერ დასრულდება.



როდესაც ჩვენ გვამადლიან და გვეუბნებიან წლების განმავლობაში გამოყოფილ 6 მილიარდ დოლარს, როდესაც ჩვენ იმავე კალკულატორით ვეუბნებით, რომ 4,5 მილიარდზე მეტი არ მიგვიღია, ესეც ეტყობა რუსული მათემატიკის ბრალია. მაგრამ ამ 4,5, მილიარდიდან 70 % გადარიცხული თანხების სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდს რომ ეხება, ხოლო დარჩენილი თანხების უდიდესი ნაწილი თავისივე აგენტურის კვებას მოხმარდა წლების განმავლობაში, ამაზე არ საუბრობენ. კიდევ ერთხელ ვკითხულობ – რას გვამადლიან? რომელი საინვესტიციო პროექტი დაიწყეს და ვერ დაამთავრეს, ან რომელი იყო დაანონსებული?

**დავით ქართველიშვილი**



**შალვა ნათელაშვილს,** 0-პროცენტიან კლოუნს რომ დააწერინებ და დააჯღაბნინებ ბლანკზე რაღაც მოსაზრებას, რომლის ტიტულატურაშიც ფანჩატურია გამოსახული და იმას აკრავ ქართველი ხალხის და ხელისუფლების წინააღმდეგ სანქციებს, ეს უკვე რაღაც განსხვავებულ რაღაცასთან გვაქვს საქმე. ვერ დაუწესებენ სანქციებს ქართველ ხალხს. ამოვძირკვავთ ისეთ სარეველებს, როგორებიცაა ჩხიკვაძე, საბანაძე, სოროსის დაფინანსებულ გოჭუნიებს, სულგაყიდულ არასამთავრობოებს.

**ბექა ოდიშარია**

## ირაკლი კობახიძე:

# გამჭვირვალობის კანონი არის საქართველოს სუვერენიტეტის კონსტიტუცია

კიდევ ერთხელ მინდა, გამოვხატო ჩემი მზაობა, დავსხდეთ საჯარო დისკუსიის ფორმატში. ნებისმიერ სუბიექტს მოვუწოდებ, იქნებიან ეს დიპლომატები, უცხოელი პოლიტიკოსები, ქვეყნის შიგნით პოლიტიკოსები, ახალგაზრდები თუ ნებისმიერი სხვა, ყველას მოვუწოდებ, ერთად დავსხდეთ, გავმართოთ საჯარო დისკუსია საზოგადოების თვალწინ, პირდაპირ ეთერში, ეს არის ჩემი მოწოდება. სამწუხაროდ, ყველა გაურბის საჯარო დისკუსიას, რადგან გამჭვირვალობას ალტერნატივა არ აქვს. შეუძლებელია უბრალოდ გამჭვირვალობასთან დაკავშირებით გქონდეს რაიმე ნეგატიური ობიექტური შეფასება, ამიტომ გაურბიან ისინი საჯარო დისკუსიას ამ თემასთან დაკავშირებით. ერთი რამ მინდა, ვთქვა მკაფიოდ, ეს არ არის ერთი ჩვეულებრივი კანონი, ხაზგასმით უნდა ითქვას, ეს არის კანონი გამჭვირვალობის შესახებ, რაც უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანს ჩვენი სუვერენიტეტის შემდგომ განმტკიცებაში და აქედან გამომდინარე, მე ამ კანონს ვუწოდებდი სუვერენიტეტის კონსტიტუციას. ეს კანონი არის რეალურად სუვერენიტეტის კონსტიტუცია, ამიტომ არ მოსწონთ ვიღაც-ვიღაცებს ეს კანონი, ვიღაცებს არ სურთ, რომ იხილონ საქართველო უფრო მეტად ძლიერი, უფრო მეტად სუვერენული, თუმცა ეს არის ჩვენი სახელმწიფო ინტერესი. ამიტომ ჩვენ ბოლომდე დავიცავთ იმ კანონს, რასაც ვუწოდებდი სუვერენიტეტის კონსტიტუციას.

## შალვა პაპუაშვილი:

# ამერიკელ ხალხს 30 წელია, ვაჩვენებთ მეგობრობას და გვერდში დგომას, — ამის სააპასუხოდ ვხედავთ საქართველოს ასეთი დამცირების მცდელობას!..

**„სამწუხაროდ,** კონგრესში ანტიქართული განცხადებების ნიაღვარი ვნახეთ. ამერიკელ ხალხს, 30 წელია, ვაჩვენებთ მეგობრობას და გვერდში დგომას. ამერიკელი ხალხისთვის ბევრი გვაქვს გაკეთებული და ქართველი ხალხი გვერდით დაუდგა, მათ შორის, საერთაშორისო მისიებში. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მაშინ, როდესაც ნატოს ბევრი წევრი ქვეყნის წარმომადგენლები ავღანეთში შტაბიდან ცხვირს არ ყოფდნენ გარეთ, ქართველი ჯარისკაცები, ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად, წინა ხაზზე იბრძოდნენ. ამის საპასუხოდ, ვხედავთ საქართველოს ასეთი დამცირების მცდელობას, ეს არის, რა თქმა უნდა, სამწუხარო. სამწუხაროა, როცა ვხედავთ, დეზინფორმაციას მიხეილ სააკაშვილთან, არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც ვხედავთ, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ცდილობენ, დაამცირონ საკუთარი სამშობლო უცხო ქვეყანაში მისი დასმენით და მისი გასამართლების პროცესის მოწყობით“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

რაც შეეხება არჩევნებს, როგორც შალვა პაპუაშვილი აცხადებს, არჩევნებში დაცვა ოპოზიციის და ზოგიერთი „ენჯეოს“ მხრიდან იქნება საჭირო, რომელმაც 2020 წელს არჩევნების შედეგების გაყალბება სცადა.

„ზუსტად ეს ხალხი, „ენჯეოები“ და ოპოზიცია იყვნენ შეკრულნი მაშინ საქართველოს წინააღმდეგ, როდესაც გააყალბეს პარალელური დათვლის შედეგები, და შეგახსენებთ, ამის შესახებ იცოდა დონორმა და უმალავდა ქართველ ხალხს და ხელისუფლებას, რომ პარალელური დათვლის შედეგები იყო მცდარი. გვიმალავდნენ როგორც „ენჯეო“, ისე მისი დონორი. ასევე შეგახსენებთ ბიულეტენებს და სხვა. შეგახსენებთ 4 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის პირველ დასკვნას, რომელმაც შეაფასა 2020 არჩევნები ყველაზე არადემოკრატიულ არჩევნებად, და მათ განცხადებას, სადაც, თუ არ ვცდები, სამი თუ ოთხი პუნქტი იყო და ყველა იყო ტყუილი. **PVT** იყო ტყუილი, თითქოს გვიან გამოქვეყნდა შედეგები, თითქოს რვა პროცენტზე მეტობა იყო და ამ ყველაფერს აკეთებდნენ „ენჯეოები“ და დუმდნენ მათი დამფინანსებლები, რომლებმაც მაშინ წაახალისეს არჩევნების შედეგებზე ყალბი დასკვნების დადება. ის, რომ **PVT**-ს შედეგები იყო მცდარი, მათ შორის, იცოდა **USAID**-მა და გვიმალავდა როგორც ხელისუფლებას, ისე ქართველ ხალხს. პირადად მქონდა შეხვედრა **USAID**-ის წარმომადგენელთან და მან პირდაპირ მოგვატყუა, რომ ყველაფერი იყო სწორი და არაფერი შეცდომა არ იყო და შემდეგ, სამ დღეში აღიარა **ISFED**-მა, რომ ავრცელებდა ყალბ ინფორმაციას **PVT**-სთან დაკავშირებით“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

მისი თქმით, ქართველი ხალხი არჩევნებზე მიდის ძალიან მტკიცე და ცხადი წარმოდგენით, თუ რასთან აქვს საქმე.

„არჩევანი იქნება ორ საკითხს შორის – გვინდა, გვქონდეს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ გვინდა, ვიყოთ ვასალური სახელმწიფო“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**





# ყოჩაღ, ფრანგებო!

## საფრანგეთის პარლამენტმა უცხოური ჩარევის წინააღმდეგ კანონი დაამტკიცა

**კანონის მიღებას მხარი დაუჭირა 138-მა დეპუტატმა, ხოლო 10 იყო წინააღმდეგი.**

**გუშინ მიღებული კანონი ძალაში 2025 წლის პირველ ივლისს შევა.**

უცხოური ჩარევის წინააღმდეგ კანონი საფრანგეთში უცხოური ინტერესების წარმომადგენლებს ავალდებულებს, დარეგისტრირდნენ ეროვნულ რეესტრში. ის აძლიერებს ჩარევის ოპერაციების მონიტორინგს, სადაზვერვო სამსახურებს საშუალებას აძლევს, საეჭვო ონლაინაქტივობები ალგორითმული მონიტორინგის საშუალებით შეამოწმონ. ეს ინსტრუმენტი მხოლოდ ტერორიზმის პრევენციისთვის არის ავტორიზებული.

კანონი ითვალისწინებს უცხოური ჩარევის შემთხვევაში კონკრეტული პირის ან ორგანიზაციის აქტივების გაყინვას. უცხოური ინსტიტუტები, რომლებიც პოტენციურ სპონსორებად ჩაითვლებიან, არიან სახელმწიფოები, პოლიტიკური პარტიები ევროკავშირის გარეთ.

კანონის საბოლოოდ დამტკიცებულ ტექსტში შენარჩუნებულია სენატის იურიდიული კომიტეტის მიერ შეტანილი რამდენიმე შესწორება. კერძოდ, ახალი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმების გაზრდას საკუთრებაზე ან პირებზე თავდასხმისთვის, თუ ეს დანაშაულები ჩადენილია „უცხოური სუბიექტის ინტერესების მსახურების მიზნით“. დანაშაულებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, ისჯება სამი წლით თავისუფლების აღკვეთით, სასჯელი ექვს წლამდე გაიზრდება. ოცდაათი წლით თავისუფლების აღკვეთით დასჯილი დანაშაულის ჩამდენს კი უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

კანონის საბოლოო ტექსტში ასევე შენარჩუნდა სენატში, საჯარო სესიაზე დებატების დროს მიღებული რამდენიმე ცვლილება. გავლენის ოპერაციების პოტენციური სამიზნეების სია, რომელშიც შედიან, მაგალითად, ხუთი წლის განმავლობაში მთავრობის წევრები და ყოფილი წევრები, გავრცელდა ევროპული არჩევნების კანდიდატებზეც.

რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება ამოქმედდება არა უგვიანეს 2025 წლის დეკემბრისა.

კანონი მთავრობას ავალდებულებს, პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში საფრთხეების მდგომარეობის შესახებ, მაშინ როდესაც თავდაპირველად ანგარიშის წარდგენა ყოველ ორ წელიწადში იყო გათვალისწინებული. ასევე შენარჩუნდა შესწორება, რომელიც საფრანგეთში უცხოური ინვესტიციების კონტროლის შესახებ ყოველწლიური დებატების მოწყობის საშუალებას იძლევა.

კანონის მიზანია, დადგინდნენ უცხოური ინტერესების წარმომადგენლები, რომლებიც საფრანგეთში ლობისტურ საქმიანობას ეწევიან და დარეგისტრირდნენ ეროვნულ რეესტრში.

კანონით გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი სანქციები. ასევე, კანონი ითვალისწინებს ჩარევის საქმიანობით დაკავებული პირების, კომპანიების ან სუბიექტების ფინანსური აქტივების გაყინვის შესაძლებლობას. ამ რეესტრის მართვას განახორციელებს „საზოგადოებრივი ცხოვრების გამჭვირვალობის უმაღლესი ორგანო“.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ უცხოური ჩარევის წინააღმდეგ კანონის მიღებას საფუძვლად დაედო საფრანგეთის დაზვერვის საპარლამენტო დელეგაციის ანგარიში, რომელშიც მიმოხილულია საფრანგეთში უცხოური ჩარევის რისკები და მათი აცილების გზები. 2022-2023 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ საფრანგეთის შიდა საქმეებში საგარეო ჩარევა სულ უფრო ხშირია და ეს ყველა სფეროს ეხება.

## შალვა პაპუაშვილი: ევროპა ძალიან არაევროპულად მოგვექცა!..



**ჩვენ ევროპა ძალიან არაევროპულად მოგვექცა ბოლო ორი წლის განმავლობაში. ეს ყველაფერი ევროპულ ღირებულებებს აცდენილია, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.**

როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, ბევრი რამეა გამოსასწორებელი ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან დაკავშირებით, მათ შორის, გამჭვირვალობაც.

– დახურული კარს მიღმა საakაშვილთან მიმართებაში დიდი ხანი მიდიოდა ზეწოლა, რომ ჩამოსულიყვნენ პოლონელი ექიმები. ამ ყველაფერში ჩართული იყვნენ ელჩებიც, რომ რამენაირად მოეყვანათ პოლონელი ექიმები და ვნახეთ, რისთვისაც ჩამოვიდნენ აქ. სამარცხვინო სპეცოპერაციას ატარებდა ერთ-ერთი ექიმი, რომელსაც წინდით გაჰქონდა ნიმუში. ბოლოს ალტერნატიული დასკვნაც ვეღარ ვიხილეთ. როდესაც ელჩები მივიდნენ იუსტიციის მინისტრთან და ევროკავშირის სახელით დემარში გამოაცხადეს, ორ კვირაში სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ეს დემარში იყო აბსოლუტური ტყუილი და ფარსი, რადგან სააკაშვილის გადაყვანის საჭიროება არ არსებობდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრს პირდაპირ შანტაჟის ენით ელაპარაკებოდნენ – კი მაგრამ, რომ მოკვდეს და რამე მოუვიდეს?! ხდებოდა აპოკალიპტური სურათის დახატვა. რატომ უნდა მოკვდეს, რატომ უნდა დაემართოს რამე, როდესაც ადამიანი თავის თავს თვითონ იზიანებს და ასეთ ბანალურ ჭეშმარიტებებს ვუხსნიდით. ამ ყველაფერს ევროპა არ ისმენდა, რითიც შიგნით არეულობაზე არათუ თვალს ხუჭავდა, არამედ ხელს უწყობდა კიდეც. ამიტომ ჩვენ ევროპა ძალიან არაევროპულად მოგვექცა ბოლო ორი წლის განმავლობაში. ამას საერთო არ ჰქონდა ევროპულ ღირებულებებთან. არ არის ევროპული ქცევა, როდესაც ქვეყანას უბიძგებ ისეთი ნაბიჯებისკენ, რომლებსაც შეიძლება, არეულობა მოჰყვეს და ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს. არ არის ევროპული ქცევა, როდესაც შენ სხვა ქვეყანაში, ფარულად, სპეცსამსახურების მეთოდებით აფინანსებ რადიკალურ ჯგუფებს და პოლიტიკურ პარტიებს, ერევი პოლიტიკურ პროცესებში. ეს ყველაფერი ევროპულ ღირებულებებს აცდენილია. ასე რომ, აქ ბევრი რამეა გამოსასწორებელი ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან დაკავშირებით, მათ შორის, გამჭვირვალობასაც ვგულისხმობ. ხომ ცნობილია, ევროპის დემოკრატიის ფონდი არ ასაჯაროებს თავის ფინანსებს, ფარულად აფინანსებს პარტიებს, რადიკალურ ჯგუფებს. ეს ყველამ იცის, ამაზე, გარკვეულწილად, თანხმობაც არსებობს“.

## დავით ქართველიშვილი: დაკავებულია ორი რეალური ტერორისტი...

**„ხალხის ძალის“** წევრი, დავით ქართველიშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ტერორისტულ დანაშაულზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქართველოს ორი მოქალაქის დაკავების ფაქტს სოციალურ ქსელში ეხმიანება.

**„ამას კი უკვე ტენდენცია ჰქვია. როდესაც 2021 წლის 30 სექტემბერს კიევი-თბილისის რეისზე 20-ზე მეტი უკრაინელი ბოევიკი დავაკავეთ და მათი სამშობლოში დეპორტირება მოვახდინეთ – ხოლო მეორე დღეს, კონტრაბანდულად ჩამოსული VIP_არაჟანიც დავაპატიმრეთ – ეს იყო პირველი სიგნალი.**

**როდესაც 2023 წლის სექტემბერში USAID-ის მიერ ჩამოყვანილი პოლიტიკური ტერორის ტექნოლოგები დავაკავეთ და მივხვდით, რომ მათ ჩამომყვანებთან არანაირი ნდობა არ შეიძლება გქონდეს – ამას კი მოჰყვა გამჭვირვალობის კანონის მიღება – ეს იყო მეორე სიგნალი.**

**და აი კიდევ ერთი ფაქტი: დაკავებულია ორი რეალური ტერორისტი. დაკავებულია პოლიტიკური ტერორის – „მაიდანის“ ფართო დაანონსების ფონზე. იმედია, ტენდენცია არ დაირღვევა და ამას „მაიდანისტების“ დაკავებაც მოჰყვება. ეს იქნება მესამე და უკანასკნელი სიგნალი.**



**მადლობა სუს-ს, მადლობა ჩემს ყოფილ კოლეგებს და მეგობრებს. მადლობა ქვეყნის ხელისუფლებას.“** – წერს ქართველიშვილი სოციალურ ქსელში.

## დავით ჩიხელიძე: სიმშვიდე და უწყვეტი სტაბილური განვითარება მარტივად არ მოსულა!

**– დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალთა ჯგუფი მუშაობს, მათთვის ამოსავალ წერტილს სახელმწიფოს, მოქალაქის უსაფრთხოება და მშვიდობა წარმოადგენს!**

სუსმა ტერორიზმის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა, ამოღებულია საბრძოლო მასალა და გამოძიებისთვის საინტერესო სხვა ნივთმტკიცებები, საგულისხმოა რომ სუსმა 2023 წელს იმავე ბრალდებით 7 პიროვნება დააკავა, რაც ტერორიზმის მხრიდან მომდინარე საფრთხეზე მიანიშნებს.

ამჟამად მიმდინარეობს კონტრტერორისტული ღონისძიებები დაკავებული პირების ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირების იდენტიფიცირების მიზნით.



მადლობა სიმშვიდისთვის, რომელიც ჩვენ ქვეყანაშია, სიმშვიდე და უწყვეტი სტაბილური განვითარება მარტივად არ მოსულა, ის ჩვენი ძალოვანი უწყებების ოცდაოთხსაათიანი, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია!..

## ცესკო: მცდარი შეფასებები საარჩევნო პროცესს აზიანებს

**– საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე ხუთი თვე რჩება. არჩევნების მოდერნიზების პროცესი გადამწყვეტ ეტაპზეა. საარჩევნო ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს ელექტრონული არჩევნების წარმატებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩასატარებლად.**

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა ყველა ეტაპზე არის ღია, საჯარო და ყველა ჩართულ მხარეს აქვს შესაძლებლობა, დეტალურად გაეცნოს მიმდინარე საარჩევნო პროცესებს, კვლავ გრძელდება გადაუმოწმებელი, უსაფუძვლო და საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი განცხადებები.

კერძოდ, ბოლო პერიოდში არჩევნებთან და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ვრცელდება უსაფუძვლო განცხადებები და შეფასებები, მათ შორის, ქვეყნის გარეთაც. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მოქმედებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების სრული დაცვით, ამ მიმართულებითაც ვრცელდება ინსტიტუციის დამაზიანებელი უსაფუძვლო ბრალდებები.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საარჩევნო პროცესის ირგვლივ გაკეთებული ასეთი შეფასებები მთლიანად საარჩევნო პროცესს აზიანებს. მსგავსი განცხადებები, პოლარიზებული საარჩევნო გარემოს გათვალისწინებით, ემსახურება ცრუ




წარმოდგენების, არასწორი აღქმების შექმნას, მათზე დაფუძნებული დასკვნების გავრცელებას და აზიანებს როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის რეპუტაციას, ისე, ზოგადად, საარჩევნო გარემოს და არჩევნების მთლიანობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი ძალისხმევა მიმართულია საარჩევნო პროცესებიდან პოლიტიკური დისკურსის და გავლენების აღკვეთისაკენ. ამ პროცესში კი უმნიშვნელოვანესია ჩართული მხარეების ობიექტური მხარდაჭერა და არა წინასწარი წარმოდგენებისა და არასწორი აღქმების შექმნა, რაც უფრო მეტად დააზიანებს საარჩევნო გარემოს.

**არჩევნები საერთო საქმეა და საარჩევნო ადმინისტრაცია მოუწოდებს ჩართულ მხარეებს, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, იყვნენ ობიექტურები და მიუკერძოებლები, ხელი შეუწყონ არჩევნების სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებას.**

ამასთან, სურვილის შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, საარჩევნო ადმინისტრაცია მზად არის შესაბამის დაინტერესებულ პირებთან საჯარო შეხვედრებისთვის, რათა კითხვების არსებობის შემთხვევაში დეტალურად გავუზიაროთ ინფორმაცია ყველა იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია 26 ოქტომბრის არჩევნების ჩასატარებლად ახორციელებს.

ჩვენი მხრივ, ვადასტურებთ რა ანგარიშვალდებულებას ამომრჩევლების წინაშე, ყოველთვის მივაწვდით მათ ობიექტურ და გადამოწმებულ ინფორმაციას. აღნიშნულია ცესკო-ს განცხადებაში.

# პოლარიზაცია სახელმწიფოებრიობას დაგვაკარგვინებს

## ევროპული ტიპის სახელმწიფოს ასაშენებლად მაინც გაერთიანდით!



**ვინაიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ „მოღალატედ“ შერაცხილი პრეზიდენტი „რუსული კანონის“ მხარდამჭერ დეპუტატებს „ორჯონიკიძეებად“ მოიხსენიებს, ხოლო პარლამენტის წინ ისევ ისმის „რევოლუციური მოწოდებები“, თავი ვალდებულად ჩავთვალე, საზოგადოებისთვის მიმემართა. ხელისუფლებისა და ოპოზიციის, აგრეთვე მათი მხარდამჭერების „პოლარიზაციის“ გათვალისწინებით, თავიდანვე, ყველასთვის ავტორიტეტული პიროვნების აზრს მოვიშველიებ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში ბრძანა, „საერთოდ, უფრო მეტად გვმართებს ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენა, ვიდრე გულის კარნახით სიარული. ჩვენი ყოველი ნაბიჯი აწონილი და გამართლებული უნდა იყოსო!“**

ამის შემდეგ, რამდენიმე მოცემულობას ჩამოვაყალიბებ და ანალიზს მკითხველს მივანდობ:

ფაქტია, დამოუკიდებლობის აღდგენიდან უკვე მესამედი საუკუნეა გასული, მაგრამ ე. წ. ევროსტანდარტების შესაბამისი სამართლიანი არჩევნების ჩატარება ვერ ვისწავლეთ („რეიტინგული პოლიტიკოსები“ და პრეზიდენტები გაიხსენეთ...), კონსტიტუცია („უზენაესი კანონი“) რამდენჯერმე შევცვალეთ, ხოლო „აჯანყება-რევოლუციების“ შედეგად ტერიტორიები დავკარგეთ...

დღეს, ისევე ვართ „პოლარიზებულები“, როგორც 1991, 2003 და 2012 წელს და ამჯერად უკვე „რუსული კანონის“ გამო ვუპირისპირდებით ერთმანეთს, რაც ისევ უცხოეთიდან („ვიღაც მესამის“ მიერ...) პროვოცირებულად მიმაჩნია...

არადა, ევროკავშირის წევრობაზე პრეტენზიის მქონე ქართველებმა დამოუკიდებლობის დღე „თავისუფლების“ (არჩევანის თავისუფლების...) მოედანზე აღვნიშნეთ, რომელზეც ერთ აღმსარებლობასთან ასოცირებული, ამასთან, ხელისუფლების აზრით, „რუსული წმინდანის“ მონუმენტია აღმართული (საქართველოს ახალ სახელმწიფო გერბზე წმინდა გიორგი სხვა „ორიენტაციისაა“...). თან „ხუთჯვრიანი დროშები“ ვაფრიალეთ (ფაქტობრივად, პარტიული, ვინაიდან მეცნიერებათა აკადემია თვლის, რომ „არაქართული და უკანონოა!“) და, ფაქტობრივად, სააკაშვილის მიერ შერჩეული სახელმწიფო ჰიმნიც გავაჟღერეთ, რომელშიც საქართველო არ არის ნახსენები... სამაგიეროდ, ევროპელებისთვის „სატანის სიმბოლოდ“ ცნობილი „ცისკრის| ვარსკვლავი“, რატომღაც „ორ ზღვას შუა ბრწყინდება“, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით საქართველოს ტერიტორია მხოლოდ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით გვაქვს განსაზღვრული...

ამასთან, თუ ევროპული ტიპის სამართლებრივ სახელმწიფოებში ხელისუფლების სამი დამოუკიდებელი შტოა, საქართველოში, ფაქტობრივად, ხუთია... პირველი – უცხოეთიდან დაფინანსებული და პოლიტიკური ამბიციის მქონე „არასამთავრობო ორგანიზაციებია“, მეორე – „რეიტინგული (პარტიული) ტელევიზიები“ და შემდეგ მოდიან, ფაქტობრივად, პირველი ორი „ხელისუფლების“ მიერ მართული (დაკომპლექტებული) საკანონდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები...

ფაქტია, ისიც, რომ უკრაინაში „სპეციალური ოპერაციით“ პუტინმა და ზელენსკიმ მოქალაქეებისგან რამდენიმე წელიწადში „გაათავისუფლეს“ ევროპის ცენტრში არსებული ტერიტორია, რომლის „აღორძინებაში“ ოლიგარქიული კლანების მფლობელობაში არსებული ამერიკული ე. წ. ტრანსნაციონალური კორპორაციები აპირებენ „ინვესტირებას“. ამასთან, „სტრატეგიული პარტნიორები“ უკრაინას იმ პირობით აწვდიან იარაღს, რომ მტრის ტერიტორიაზე არ გამოიყენოს, ხოლო რუსები უკრაინელების სავაჭრო გემებს არ ერჩიან...

ისევე როგორც უკრაინაში, საქართველოშიც მოქალაქეების რაოდენობაც და შობადობაც, ფაქტობრივად, განახევრდა, ხოლო სოფლები დაიცალა, ვინაიდან გლეხების ნაწილი ემიგრაციაშია, ხოლო ნაწილი დედაქალაქში ეძებს საარსებო წყაროს... არადა, ქართული მიწა უცხოელებზე 1996 წლიდან იყიდება (უკრაინაში 2021-დან), რაც დემოგრაფიულ ვითარებაზეც აისახება...

ვხედავ, რომ რუსეთის, ჩინეთისა და თურქეთის ლიდერებმა (ფაქტობრივად, იმპერატორებმა...) გამოძებნეს საერთო ენა და ანგლო-საქსური კავშირის ფორმირების თაობაზეც ვრცელდება ინფორმაცია (აშშ, ინგლისი, ავსტრალია... შეიძლება, ისრაელიც შეიამხანაგონ...).

იმის თაობაზეც მსმენია, რომ „სტრატეგიული პარტნიორები“, „ისტორიული მეგობრები“ და „ოკუპანტები“ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის რამდენიმე საკუთარ ვარიანტს განიხილავენ:

**ა) რუსები და თურქები საქართველოს ტერიტორიის ძირითად ნაწილს გადაინაწილებენ (საზღვრების მიმდებარედ), ხოლო თბილისი და მისი შემოგარენი (ქართლისა და იმერეთის ნაწილი) დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოდ („ხუთჯვრიან მეორე იერუსალიმად“...) ჩამოყალიბდება, რომელიც ევრაზიული სივრცის უმსხვილეს გასართობ და საბანკო-ფინანსურ (დუბაის ან სინგაპურის მსგავს) ცენტრად იქცევა და შვეიცარიასავით ნეიტრალურად იქნება აღიარებული მეზობელი სახელმწიფოების მიერ...**

**ბ) საქართველოს (აფხაზეთიან-სამაჩაბლოიანად) რუსეთის ფედერაციაში ან აღმოსავლეთ სლავების (რუსეთ-ბელარუს-უკრაინის) კონფედერაციაში „გააწევრიანებენ“ იმ პირობით, თუ როდესმე გამოყოფას გადაწყვეტს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს სამუდამოდ დაემშვიდობება, ვინაიდან მათი დამოუკიდებლობის აღიარება მოუწევს;**

**გ) მორიგი „რევოლუციის“ ან საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული „სამოქალაქო დაპირისპირების“ შემთხვევაში, რუსი და თურქი „მშვიდობისმყოფელები“ საქართველოს ოკუპაციას მოახდენენ იმ პირობით, რომ ჩინელების ინტერესებს დაიცავენ და მათ ტვირთებს უპრობლემოდ გაატარებენ. არადა, ამერიკელებს ჯერ კიდევ 1918 წელს ჰქონიათ გეგმა, ამიერკავკასიაში მხოლოდ ორი სახელმწიფო დარჩენილიყო (თურქეთი და სომხეთი), ხოლო უკრაინის ტერიტორიაზე ებრაელები დასახლებულიყვნენ...**

ცხადია, ყველა შემთხვევაში, მეზობელი ქვეყნების მიერ საზღვრების თბილისამდე გადმოწევის ან საქართველოს ტერიტორიის სრულად ოკუპაციის ფაქტზე „ევროპელი მეგობრებიც“ და „სტრატეგიული პარტნიორებიც“ ბევრჯერ „შეშფოთდებიან“ ან „აღშფოთდებიან“ (შეიძლება, მავანის ქმედება „დაგმონ“ და მომხდარის გამო „ღრმა მწუხარებაც გამოხატონ“...), მაგრამ, ნამდვილად აღარაფერი გვეშველება...

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან განვლილი პერიოდის ანალიზიდან გამომდინარე, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ „რუსული კანონის“ მეორედ ინიცირებაც და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ „გამარჯვებული ხალხის“ ქუჩაში გამოყვანაც „ვიღაც მესამის“ ინტერესებშია და არაფერ სასიკეთოს არ მოგვიტანს...

**ცხადია, სხვებზე არანაკლებ მინდა, საქართველო ევროპის ნაწილი იყოს, მაგრამ, როდესაც არც გეოგრაფიული მდებარეობა, არც პოლიტიკური რეალობა და სამართლებრივი კულტურა ამის საშუალებას არ იძლევა, ხოლო მეზობლებად რუსეთი და თურქეთი მყავს, თავის მოტყუება არ მინდა, რის გამოც საერთო საზღვრის მქონე სახელმწიფოებთან ურთიერთობის დალაგება მირჩევნია, რომ საქართველომ ევროპული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შანსი მაინც შეინარჩუნოს.**

იმასაც ვაღიარებ, რომ „რუსული კანონის“ მოწინააღმდეგე ახალგაზრდებისგან (ზრდასრულებისგანაც...) განსხვავებით, რომლებსაც არაფრის ეშინიათ, ძალიან მეშინია, ქართველების „პოლარიზაციისა“ და „რუსული კანონის“ გამო შექმნილი მორიგი „რევოლუციური სიტუაციის“ გამოყენებით „ვიღაც მესამის“ ინტერესებში, არა მარტო ტერიტორიის მორიგი ნაწილი, არამედ სახელმწიფოებრიობა არ დავკარგოთ... ფაქტია, „ნაცმოძრაობისთვის“ ხელისუფლების გადაბარებით „მოქკავშირმა“ თავიდან აირიდა პასუხისმგებლობა რუსეთისთვის სამაჩაბლოს ჩაბარებისთვის...

სწორედ ამის გამო ხელისუფლებას და ოპოზიციას, აგრეთვე მათ მხარდამჭერებს ემოციების დაოკება და საქართველოში ევროპული ტიპის სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად გაერთიანება მინდა ვთხოვო...



**ავთანდილ კახნიაშვილი,**
**სამართლის დოქტორი**

---

### კახა კალაძე:

## ეს ქვეყანა და ჩვენი ხალხი საზარბაზნე ხორცად არ და ვერ იქნება გამოყენებული!

– **ეს ქვეყანა** არ იქნება გამოყენებული ვიღაც სხვისი ინტერესებისთვის. საქართველოში არ იქნება ის პროცესები და მოვლენები, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს მეგობარ უკრაინაში ხდება. ეს ქვეყანა და ხალხი საზარბაზნე ხორცად არ იქნება და ვერ იქნება გამოყენებული. კარგად დაიმახსოვროს ყველამ“, – განაცხადა კალაძემ.

***გუშინ** სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელმა გიორგი რუხაძემ განაცხადა: „კარგი იქნება, თუ თბილისში მოხდება შემდეგი მაიდანი, „ქართული ოცნება“ თუ შეეცდება, მოსახლეობის ნების წინააღმდეგ მაინც დარჩეს ხელისუფლებაში, მაშინ აუცილებლად მოხდება მაიდანი“.*

### გურამ მაჭარაშვილი:

## ქართველი ხალხისთვის არჩევანის გაკეთება მარტივი იქნება ომსა და მშვიდობას შორის...

– **ღამეები** არ მძინავს იმაზე ფიქრით, ოპოზიცია სალომე ზურაბიშვილის გარშემო გაერთიანდება თუ პატიმარი სააკაშვილის, ჯერ ვერ გამოვიცანი. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ერთიც რეზიდენტია და მეორეც. ის, თუ რომელი ცენტრის ირგვლივ შექმნიან რადიკალებს, მნიშვნელობა არა აქვს. ქართველი ხალხი ხედავს, რომ ისინი საკუთარ ქვეყანას ებრძვიან. ეს ორი დღის წინ გამოჩნდა, როცა დაეთანხმნენ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც ტყუილს კადრულობენ საქართველოს შესახებ. ხალხს უთხრეს, თქვენ არ გეკითხებათ, ხელისუფლებაში ვინ მოვაო, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციასა და მეორე ფრონტის გახსნას აანონსებენ. ქართველი ხალხისთვის არჩევანის გაკეთება მარტივი იქნება ომსა და მშვიდობას შორის...

# არქიტექტურულ-ურბანული კომპრომისების ლიმიტი ამოიწურა




## ვახტანგ დავითაიას მეოთხე წიგნი სერიიდან

## „არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე“

**არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას პუბლიცისტური წერილების სამტომეულს „არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე“ შეემატა მეოთხე წიგნი (გამომცემლობა „ივერიონი“, რედაქტორი ზაურ ნაჭყებია).**

ავტორი ამ წიგნს ცნობილ ბიზნესმენს, ბატონ გია ჯოხთაბერიძეს უძღვნის - „ქართული ხელოვნების დიდ მოამაგეს“, რომელმაც საქართველოს უბოძა უნიკალური ხელოვნების სასახლე, კაცს, რომელიც დღის სინათლეზე გამოიტანა ქართული სახვითი ხელოვნების (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა) უბრწყინვალესი ნიმუშები.

წიგნი რვა ქვეთავისგან შედგება და თითოეული ქვეთავი ავტორის ცხოვრების ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების ერთგვარ კრებულს წარმოადგენს. იწყება 2016 წლიდან და მთავრდება 2023 წლით, სადაც ბატონი ვახტანგი, ჩვეული პირდაპირობით, ღრმა ანალიტიკური შეფასებით, წერის მისეული მანერით, განიხილავს ქვეყნის უახლოესი წლების კულტურული პროცესების აჯკარგს. წიგნი გამორჩეულია კომპოზიციით, უჩვეულო წყობით და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. აქედან გამომდინარე მკითხველამდე ზუსტად რომ მიმეტანა ვახტანგ დავითაიას პუბლიცისტიკის ემოციური ანდამატი, გადავწყვიტე, მიმემართა თავად ავტორისათვის მისი სტატიებიდან ფრაგმენტების მოხმობით. ამიტომ ეს სარეცენზიო წერილი გარკვეულად გვერდს უვლის ზოგადად დაკანონებულ რეცენზიის ფორმას...

**2016 წელი – „არქიტექტურულ-ურბანული კომპრომისების ლიმიტი ამოიწურა“** – „რას ვაკეთებთ ჩვენ?! რა დავმართეთ იმელს, ოთარ კალანდარიშვილის მთელ შემოქმედებას, შოთა ბოსტანაშვილის „პოეზიის სახლს“ ამაღლების ქუჩაზე, მერაბ ბერძენიშვილის და ოთარ კალანდარიშვილის „დიდების მემორიალს“ ქუთაისში, ვახტანგ ონიანის „ამირანს“ სიღნაღში, გულდა კალაძის ულამაზეს ბარელიეფს „ივერიის“ ფრიზზე, ნიკოლაძისა და აბაკელიას რელიეფებს იმელის ფასადზე, უნიკალურ ისტორიულ მემკვიდრეობას მესტიაში, რიყის და სპორტის სასახლის არეალს?“

**„ხსოვნა როგორც სიცოცხლის გაგრძელება“** - „ერის ინტელექტის, კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი დამოკიდებულება ადამიანების, ისტორიის ხსოვნისადმი.

პირადად მე და, ალბათ, ათეულათასობით ადამიანს, სირცხვილის გრძნობა გვეუფლება, როდესაც დიდი ქვეყნის უმაღლესი პირი და დელეგაციები მიდიან გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად.

მემორიალის არც ადგილი, არც მხატვრული სახე არ პასუხობს მის განსკუთრებულ დანიშნულებას, არ გააჩნია ემოციური მუხტი“ – აღნიშნავს ბატონი ვახტანგი და გვთავაზობს უაღრესად საინტერესო პროექტს, რომლის არათუ რეალიზაციის, არამედ გაცნობის სურვილიც კი არ გასჩენია ბოლო ოცი წლის მანძილზე არც ერთ ხელისუფალს.

**„მემორიალს ისეთივე მოვლა სჭირდება როგორც ადამიანს“** – დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო ორმოცი წლის მანძილზე არც ერთ მემორიალზე არ დაწერილა იმდენი აღტაცებული რეცენზია, მათ შორის უცხოელი ავტორების, არც ერთ მემორიალს არ მიუღია იმდენი პრემია, რამდენიც ქუთაისის შრომის მემორიალმა მიიღო (მიენიჭა საქართველოს უძრავი კულტურის ძეგლის სტატუსი).

„ქუთაისის მემორიალი მხატვრულ-ესთეტიკური გარღვევა იყო მემორიალურ აზროვნებაში. მან უდიდესი როლი ითამაშა „საბჭოთა არქიტექტურაზე“, როგორც სახიერებას მოკლებულ „საპროექტო მანქანაზე“, გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულების რღვევაში“ – ვიაჩესლავ გლაზიჩევი. ფილოსოფოსი. აკადემიკოსი. 1987 წ.

სამწუხაროდ, ამ უნიკალური მემორიალის მნიშვნელობას ვერ „ამჩნევენ“ ბოლო 15 წელს მოღვაწე ქუთაისის მერები და მხარის გუბერნატორები. მემორიალი ითხოვს სრულფასოვან რეაბილიტაციას, რასაც წლების მანძილზე ახსენებენ ქალაქის მესვეურებს საქართველოს კულტურის სამინისტრო და ავტორები.

**„მინდა მაწვიმდეს, მათოვდეს, მზე მაცხუნებდეს“** – ძალიან ამაღელვებელია საუბარი უდიდეს ქართველ მსახიობთან რამაზ ჩხიკვაძესთან სიცოცხლის ბოლო დღეებზე, რომელიც ბატონი ვახტანგის ქალიშვილის ნათლია ბრძანდებოდა და რომლის საფლავის (დიდუბის პანთეონში) და ძეგლის (9 აპრილის ბაღში) ავტორია ბატონი ვახტანგი.

**„ფიქრები პოსტმოდერნიზმზე“** – „პოსტმოდერნი თეატრი, ფარსი, ჰიბრიდი, ირონია“.

„პოსტმოდერნიზმს, მიუხედავად ერთი შეხედვით ეკლექტურობისა, გააჩნია საკმაოდ ნათელი პრინციპები და მახასიათებლები. მისი ძირითადი პოსტულატები აშკარად ეწინააღმდეგება „ახალი არქიტექტურის“ დოგმატებს...“

**„ჩვენი დროის მოწაფე ვარ“ (საუბარი)** – „კონკრეტულ მასწავლებელს ვერ დავასახელებ, ზოგადად ჩვენი დროის მოწაფე ვარ. კორბუზიე? კორბუზიე გენიოსი იყო, უკიდურესად ინდივიდუალური, ასეთების მიბაძვა თვითმკვლელობაა. თუმცა მისი გავლენა XX საუკუნის არქიტექტურაზე უდიდესია“.

**2017 წელი – „რეგიონალიზმის ძიებები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტური საპროექტო ბიუროს მაგალითზე“** – „რეგიონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს კონკრეტული რეგიონის, ქვეყნის კუთხის მატერიალური და სულიერი კულტურის, ტრადიციების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფესვების ანუ ზოგადად „ადგილის სულის“ („Genius Locy“) გათვალისწინებას; თანამედროვე ტექნიკური ტექნოლოგიური, ინფორმაციული, კულტურულ-ინტელექტუალური მიღწევების და ღირებულებების გათვალისწინებას“.

თანამედროვე (ახალი) ქართული რეგიონალიზმის ძიების ჩვეული მეთოდია არა ისტორიული არქიტექტურული ძეგლების ციტირება, არამედ ერის მატერიალური და სულიერი კულტურის რემინისცენციები, ასოციაციები, მინიშნებები, მოგონებები.

**„ხალხმრავალ განხილვას ვამჯობინებ სპეციალისტების საპროექტო ჯგუფის დასკვნას“** – „სამწუხაროდ, არქიტექტურულ-ურბანული შეცდომები, ქირურგის შეცდომების მსგავსად, არ სწორდება, ვიღაც-ვიღაცეებმა კუჭები ამოიყორეს, ხოლო ქალაქის მოსახლეობა ათეული წლების მანძილზე უნდა დაიტანჯოს“.



საპატიო თბილისელის დიპლომის გადაცემა. 2022.

**„დავდგათ ქუჩებში მმართველი რობოტები“** – უაღრესად კომიკური ისტორია ელგუჯა ამაშუკელის მემორიალის განხორციელების შესახებ... ფაქტი, ამ დიდი მოქანდაკის ხსოვნის მემორიალის დადგმა მხოლოდ 22 წლის შემდეგ მოხდა, მრავალის მთქმელია.

**„მერაბი ჩემს დღიურებში და დავით აღმაშენებლის თავგადასავალი“** – „17.VII.2016 წ. დარეკა მერაბმა. ახლახან დამთავრდა კონსილიუმი, მაღალაშვილები ოპერაციისკენ იხრებიანო. მე ვუთხარი, ამ რამდენიმე წლის წინ ისრაელელებმა ხომ გითხრეს ოპერაცია აუცილებელიაო, აქამდე რატომ გაწელე-მეთქი. საუბარი აღმაშენებელზე გაგრძელდა. – ისე როგორ მოვკვდე, დავითი ტრასაზე დავტოვოო“. მერაბს ეს დარდი საფლავში ჩაყვა.

**„სამყარო ის არის, რაც წიგნში უნდა შევიდეს“ ანუ არქიტექტორი ვახტანგ დავითაია“** – „ალექსანდრ ბლოკმა თავისი პოემა „თორმეტი“ რომ გაასრულა, თავის თავს უთხრა, „მე დღეს გენიოსი ვარ“.

როცა „ალგეთის ბაზილიკა“ გაასრულა, იგივე შეიძლება ეთქვა ბატონ ვახტანგ დავითაიას თავისი თავისთვის“ – **მურმან ჯგუბურია**“.

**2018 – „რა ღირს ლეონარდო დავინჩის ერთი საათი?“** – „ფასიანმა სწავლებამ უნივერსიტეტები მთლიანად დამოკიდებულები გახადა სტუდენტებზე (კლიენტებზე), მათ გადასახადებზე და რაოდენობაზე. უნივერსიტეტები ცდილობენ მიიზიდონ და შეინარჩუნონ კონტიგენტი, რაც გარკვეულწილად განსაზღვრავს „მასწავლებლების ქცევას“ – ის ლიბერალი ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულებრივი ლიბერალი გახდა, ამას ემატება უმწიფარი კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი ქართული მენტალიტეტის წილნაყარი რეალობა, ახალგაზრდების არცთუ მცირე ნაწილისათვის უმთავრესი არა განათლების ხარისხი, არამედ დიპლომი, ზოგისთვის კი სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებაა“.

**„სააკაშვილი და ქართული ხელოვნება“** – „ცალკე თემაა სააკაშვილი და არქიტექტურა – ესაა პერიოდი შენებით ნგრევისა. სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ საქართველოში ჩამოათესლეს ხარა-ხურა უცხოელი არქიტექტორები, რომელთა ნახელავი ძვირადღირებული ფაქტია მხოლოდ და არავითარი არქიტექტურულ-სახელოვნებო შენაძენი, უფრო პირიქით – დანაშაულია ქართული არქიტექტურის წინაშე. ეს განსაკუთრებულად ეხება მესტიას და ბათუმს“.

**„ემოციების დაპროექტება“** – „2012 წლის ტრიენალეზე სოფელ გავაზის საჯარო სკოლას (600 მოსწავლეზე) მიენიჭა ლაურეატის დიპლომი, ესაა სკოლა კორიდორების გარეშე, ყველაფერი ხილულია, ფოიეს, ვესტიბიულის რეკრეაციის ფართები გაერთიანებულია ერთ ფრთად, ერთ სივრცედ - ერთი ოჯახის განცდა.

გავაზის სკოლას მიენიჭა „ინტერარქ-2012“-ის ლაურეატის დიპლომი, ასევე ბულგარეთში იაპონიის საელჩოს სპეციალური პრემია“.

არქიტექტორებს გვეგონა, რომ ეს გონივრული გეგმარებითი სიახლე საფუძველი გახდებოდა საქართველოში სასკოლო მშენებლობის ახალი მიმართულების, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. საქართველოში სასკოლო მშენებლობა კვლავ საბჭოთა კორიდორული სისტემით გრძელდება.

**„რობიკო ჩემს ჩანაწერებში“** – „კითხვა: რამდენად ემთხვევა თავდაპირველი ჩანაფიქრი და შედეგი?“ (ვ. დავითაია). – „პროცესი ჰგავს მუზის მოფრენას, არ ექვემდებარება ლოგიკას. გადიხარ სცენაზე, თითქოს იცი რა გინდა, იწყებ კეთებას ინტუიციით, თუ რაღაც მაგიური ძალით და გრძნობ, არის თუ არა კავშირი შენსა და მსახიობებს შორის“ (რ. სტურუა). „რამდენი პატარ-პატარა რობიკოა დღეს ჩვენს თეატრებში, ზოგი პირდაპირ იღებს მის მიგნებებს, ზოგიც შეფარვით“ (ვ. დავითაია). – „რა საშინელი ადგილია დიღომში დავით აღმაშენებელი რომ გადაიტანეს. შენ კი გაიბრძოლე, მაგრამ ვინ დაგიჯერა“ (რ. სტურუა).

**„გარდაიცვალა ისე როგორც იცხოვრა“** – „გავიმარჯვეთ ჭია-ჭია მაია, ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს, ახლაც ყურში ჩამესმის ქალბატონი ანას ხმა“ – ძალიან ამაღელვებელი წერილი ბატონი ირაკლი ციციშვილის ბოლო დღეებზე.

„მთელი საქართველო ამაყობდა მისით. ის ხომ ორმოციანი წლების ახალგაზრდების კერპია, ომის გმირი, ზნეობის გმირი, ასეთად დარჩა ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე. ყოველთვის პირდაპირ ამბობდა სათქმელს, ასე იქცეოდა მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა პერიოდი წყალი ჰქონდა დაგუბებული“.

**2019 – „იქნებ ყიჟნალების თხოვნამ გაჭრას“** – სატირულ-იუმორისტული ელემენტებით გაჟღენთილი წერილი დავით აღმაშენებლის ძეგლის არეალში გადმოტანაზე.

„პოსტსააკაშვილის პერიოდის თბილისის ახალ და ყოფილ მერს დავით აღმაშენებლის ძეგლი, დიღმის სივრცობრივი ქალაქიდან, ყოველდღე, ერთი სანტიმეტრით რომ გადმოეწიათ ქალაქის ცენტრისკენ, ახლა ის იქ იდგებოდა, სადაც მის ავტორს, უდიდეს ქართველ მოქანდაკეს, მერაბ ბერძენიშვილს უნდოდა. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. ერთადერთი იმედი ყიჟნალებია. თუმცა, მათი შთამომავლები ყაზახეთის ერთ-ერთ დაბაში კომპაქტურად ცხოვრობენ და დღემდე მონობებით ინახავენ დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ხსოვნას“.

**„ვის დაჰკარგვია არქიტექტორი“** – „ქვეყნის მნიშვნელოვან საკითხზე 10-15 წუთი მიღებას სთხოვდე ჩინოსანს და... მეოთხე თვეა ეს შეხვედრა ვერ შედგა“ – მკაცრი კრიტიკული წერილი დღევანდელი არქიტექტურული სამსახურის

**„სააკაშვილი და ქართული ხელოვნება“ — „ცალკე თემაა სააკაშვილი და არქიტექტურა — ესაა პერიოდი შენებით ნგრევისა. სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ საქართველოში ჩამოათესლეს ხარა-ხურა უცხოელი არქიტექტორები, რომელთა ნახელავი ძვირადღირებული ფაქტია მხოლოდ და არავითარი არქიტექტურულ-სახელოვნებო შენაძენი, უფრო პირიქით — დანაშაულია ქართული არქიტექტურის წინაშე. ეს განსაკუთრებულად ეხება მესტიას და ბათუმს“.**

ინდეფერენტიზმზე.

**2020 – „მიტინგების გამზირი“** – ეხება რუსთაველის გამზირზე მიტინგების ჩატარების მიზანშეწონილობას.

**2021 – „ერთი და იგივე კითხვები რუსთაველის პრემიის ორ ლაურეატს – არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას და კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს“** – „პირველი სამინისტრო, რომელიც საააკაშვილმა გააუქმა, იყო ურბანიზმის და მშენებლობის სამინისტრო. სისტემა დარჩა უთავოდ! არქიტექტურა და მშენებლობა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დარგიდან „კერძო“ საქმემდე დაქვეითდა, ქვეყნის მთავარი არქიტექტორი, მშენებელი, დამკვეთი, შემფასებელი თავად სააკაშვილი იყო.

დაიწყო არქიტექტურის უზურპირების პროცესი. არქიტექტორი ხელისუფლების და ინვესტორის „ხელის ბიჭად“ იქცა. პროცესი დღესაც გრძელდება“.

„9 აპრილის ტრაგედიის III კონკურსში ტრიუმფით გამარჯვებული მოქანდაკე ნ. თოფურიას და ჩემი პროექტის – „იკაროსი“ განხორციელებაზე სააკაშვილმა უარი სთქვა და ახალი, რიგით IV კონკურსი გამოცხადდა და მთავრობის სასახლის წინ დადგა უემოციო კიოსკი“.

**2022 – „მინი არლინგტონი მახათას მთაზე“** – „არლინგტონის სასაფლაოზე ჩემი ყურადღების გამახვილება იმან გამოიწვია, რომ „მახათას პანთეონი“ არლინგტონის პროტოტიპია, რაც სრული აბსურდია!“

„საკითხი ეხება საფლავების ტიპურობას და დასაფლავების არა ჰუმანურ, არა ქართულ, არა ქრისტიანულ წესს, რაც მეუღლეების ერთად დაკრძალვას კრძალავს!“

**2023 – „ქართული კულტურის ცენტრი წმინდა მიწაზე“** – „ცოტა უცნაური აზრი დამებადა – რომ ყოფილიყვნენ ცოცხლები, იმავდროულად ქართველები, მსოფლიო არქიტექტურის ტიტანები – გაუდი, ფ. ლ. რაიტი და კორბუზიე, დათანხმდებოდნენ ასეთ მგრძნობიარე ეროვნული პრობლემის ერთპიროვნულად გადაწყვეტას?!“

„მე ხშირად ვიმეორებ ერთ ჭეშმარიტებას – დიდ ხელოვნებას ქმნის გონიერი დამკვეთი“. „გონიერი დამკვეთი არ ნიშნავს მხოლოდ კარგ გადამხდელს, არამედ იმის პოვნას, ვისაც უნდა მიანდოს მისი ჩანაფიქრის რეალიზაცია. გონიერმა დამკვეთმა ყოველთვის იცის მისი კომპეტენციის საზღვრები“.

წიგნი სრულდება ვრცელი 48-გვერდიანი „არარეალიზებული პროექტების“ ფოტოებით,



ზის პიერ ანრე დიუფიტელი, საფრანგეთის ეროვნული გმირი, არქიტექტორი. დგანან: რიჩარდ ინგლანდი, ვახტანგ დავითაია. (2009)

რომელთა ნახვის შემდეგ გეუფლებათ დიდი სინანული. ამ პროექტების განუხორციელებლობით საქართველომ, შესაძლოა, მთელმა არქიტექტურულმა სამყარომ, უაღრესად საინტერესო ნაწარმოებები დაკარგა.

არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო, მივაღწიე კი იმ ეფექტს, ცინცხლად რომ მომეტანა თქვენამდე ვახტანგ დავითაიას პუბლიცისტიკის გამორჩეულობა და განსაკუთრებული ელფერი. ამის განსჯა თქვენთვის მომინდია.

ვფიქრობ, „არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე“, წიგნი მეოთხე, ისე, როგორც მისი წინამორბედი ტომები, გამუდმებით გაგვახსენებს, რომ ხელოვნებაში, განსაკუთრებით არქიტექტურაში, არსებობს ხარისხის, დონის, ოსტატობის თამასა, რომელსაც ბოლო ათწლეულებში ოდნავადაც ვერ მოუახლოვდით.... არქიტექტურა ვერ გასცდა სამომხმარებლო დიაპაზონს...

**არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ გამომცემელი, რედაქტორი და უაღრესად საინტერესო წინასიტყვაობის ავტორი, ბატონი ზაურ ნაჭყებია.**

**თამაზ დოგრაშვილი,**
არქიტექტორი
2024 წლის 12-18 მაისი

# შენ ხარ მგოსანი...

## დავით თედორაძე 75



**მალე 75 წლისა შესრულდება გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით თედორაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია:**

ბატონო დავით!

თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთო უღირსეულესო მებაირახტრევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან დიდებულ შემოქმედს, მოღვაწეს, პიროვნებას და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან გუნდს განეკუთვნებით, რომელიც აჭარაში — საქართველოს ამ უძველეს, უმშვენიერეს, კუთხეში მოღვაწეობს და მეციხოვნედ უდგას ქართულ სიტყვას, ქართულ სულიერებას, იმ წმინდათაწმინდა ტრადიციებს, დღევანდლამდე რომ მოიყვანა ჩვენი საესავი ქვეყანა. ვისაც საქართველო უყვარს, მე მასთან ვარ ჩემი აჭარელი ძმებითო, წერდა დიდი მემედ აბაშიძე და თქვენ ხომ ერთ-ერთი უპირველესი მოიაზრებით იმ აჭარელ ძმებში, ხმალამოღებულნი რომ იცავენ იმ კუთხეს საქართველოისა, საიდანაც პირველად შემოანათა ქრისტიანობის ნათელმა.

თქვენი სამწერლო კურთხევა 1972 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ ჭოროხში გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები, რომლებმაც პოეტების ქვეყანას კიდევ ერთი ჭეშმარიტი შემოქმედის დაბადება ამცნო.

თქვენმა პოეტურმა კრებულებმა, ისეთებმა, როგორიცაა „ბეწვის ხიდი“, „ცეცხლის პერანგი“, „მზე ჩუქურთმებში“, „შენი ვარ“, „და მიდის წუთისოფელი“, ერთტომეული, „ორღანი უკრავს“, „ხსოვნის ჩირაღდნები“, რჩეული, „მომავლისთვის, წინაპარისთვის“, „მელაპარაკე ქართულად“, „მე აქ ვბინადრობ“ და სხვებმა ღირსეული ადგილი დაიკავა ქართული პოეზიის საგანძურში. ეს კი განაპირობა თქვენმა პოეტურმა ძალმოსილებამ, სინატიფემ, გულწრფელობამ, ძიების დაუოკებელმა წყურვილმა. თქვენი პოეზია ბედისწერასთან მებრძოლი შემოქმედის სულის ნაჟურია და ესეც განუმეორებელ ხიბლსა და პეწს მატებს მას. თქვენი პოეზიის ლირიკულ გმირს მკერდი სამშობლოს იარებით აქვს დასერილი და სწორედ ამითაა ბედნიერი და კიდევ იმით, რომ არასოდეს დაუდვია ზავი სიბილწესთან, არაკაცობასთან, ბოროტებასთან; მზადაა, ბერი თევდორესავით ჩაეკიროს იმ დიდებულ გალავანს, ივერთა მიწის უკვდავება რომ ჰქვია სახელად...

თქვენს კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი კრებული „ხსოვნის ჩირაღდნები“, რომელშიც განთავსდა თვენი მოთხრობები, ლიტერატურული წერილები და პუბლიცისტური სტატიები.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე, დაიბეჭდა ისეთ მნიშვნელოვან ანთოლოგიებში, როგორიცაა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია, ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული, ანთოლოგია „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“.

საგულისხმოა, რომ თქვენს შემოქმედებაზე არაერთი საყურადღებო წერილია გამოქვეყნებული, მათ შორის გამოირჩევა მკვლევარ თინათინ შიოშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა „შენ ხარ მგოსანი“...

ათწლეულებია, რაც უაღრესად ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. დიდხანს ემსახურებოდით აჭარაში კულტურისა და განათლების განვითარებას, როგორც ერთ-ერთი მესვეურთაგანი ამ ურთულესი დარგებისა. იყავით გამომცემლობა აჭარის დირექტორი და არაერთი უნიკალური გამოცემის იდეის ავტორად და განმახორციელებლად იქეცით, არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ და ქართული სიტყვის ქომაგად გვევლინებით. არჩეული იყავით ბათუმის საკრებულოს წევრად, 2016 წლიდან კი აჭარის უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი ბრძანდებით, იყავით უმაღლესი საბჭოს განათლების, კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ხართ ჟურნალ „განთიადის“ სარედაქციო საბჭოს წევრი, ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების საბჭოს წევრი.

თქვენი მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი მოღვაწეობა სამწერლო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე ღირსეულად იქნა აღიარებული. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, ფრიტიოფ ნანსენის სახელობის, „საგურამოს“ და ჟურნალ „ოლეს“ პრემიები. დაჯილდოებული ხართ ქართული პოეზიის რაინდისა და რჩეული შემოქმედის საპატიო წოდებებით, დიპლომით „მშვიდობის ვარსკვლავი“. ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდით ჰაოს-ქართლოსის ოქროს მედლით.

ქართველი მწერლები ძალზე გაგვახარა ცნობამ, რომ სულ ახლახან დაჯილდოვდით გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ენდალმით და ოქროს მედლით.

ბატონო დავით!

ქართველ მწერლებს დიდ პატივად მიგვაჩნია თქვენთან მეგობრობა, რადგანაც ესაა მეგობრობა პიროვნებასთან, რომელიც მუდმივად ასხივებს სიკეთეს, სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, თანადგომასა და თანალმობას.

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოკალმეს, ღირსეულ შემოქმედს, ერისკაცს, პრინციპულ და ქედუხრელ პიროვნებას, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# თბილისში იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქების ქსელის შეხვედრა გაიხსნა

**„2021 წელს, „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტები ჩვენი ქალაქის, ქვეყნისა და საზოგადოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მადლობას ვუხდი იუნესკოს, რომელმაც მისი განხორციელება გვანდო და სამუდამოდ დაგვიტოვა წიგნის ერთ-ერთი დედაქალაქის სტატუსი. დარწმუნებული ვარ, რომ ქსელის შეხვედრები ახალი იდეებისა და გამოწვევების დასაწყისი იქნება. თბილისის მერია და მთელი ჩვენი გუნდი ამ პროექტის დიდი მხარდამჭერები ვართ და მომავალშიც გავაგრძელებთ თანამშრომლობას. მადლობას მოვახსენებ სტუმრობისთვის ქსელის ყველა წევრი ქალაქის წარმომადგენელს, ხოლო 2024 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქს, სტრასბურგს წარმატებას ვუსურვებ“, – აღნიშნა მისასალმებელ სიტყვაში თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაიამ.**

ქსელის შეხვედრის მონაწილეებს ასევე მიესალმნენ იუნესკოს



წიგნის მსოფლიო დედაქალაქის პროექტის ხელმძღვანელი იან დენისონი და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და პროექტ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი ნინია მაჭარაშვილი.

ქსელის შეხვედრას ესწრებიან პროექტის გასული წლების მასპინძელი ოცი ქალაქის წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთს გააცნობენ გაწეული სამუშაოების ანგარიშს, განიხილავენ ახალ გამოწვევებს, მათი გადაჭრის მეთოდებს, სამომავლო პარტნიორობას, დაფინანსების მოპოვების გზებსა და სხვა საკითხებს. დაგეგმილი პროგრამები წარმოადგინეს 2024 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქ სტრასბურგიდან და რიო დე ჟანეიროდან ჩამოსულმა სტუმრებმა. ეს უკანასკნელი პროექტს 2025 წელს უმასპინძლებს.

იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქების ქსელის შეხვედრას თბილისი მეორედ მასპინძლობს. პირველი შეხვედრა 2022 წლის აპრილში გაიმართა, როდესაც თბილისმა „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ პროექტი დაასრულა. 2023 წელს, პოლონეთის ქალაქ ვროცლავში გამართული შეხვედრისას, თბილისმა სხვა ქალაქებთან ერთად აიღო ქსელის წევრობისა და მისი განვითარების პასუხისმგებლობა, რაც ერთობლივ ქარტიაზე ხელის მოწერითაც დაადასტურეს.

თბილისის მერიის მიერ მხარდაჭერილ პროექტს ჩვენი დედაქალაქი 2021 წლის 23 აპრილიდან მასპინძლობდა. ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა ასამდე პროექტი, რომლებმაც სრულად მოიცვეს არა მხოლოდ წიგნის სფერო, არამედ საზოგადოების უდიდესი ნაწილიც. განხორციელდა არაერთი საგამომცემლო, ზოგადსახელოვნებო, მულტიმედიური და საერთაშორისო პროექტი.

იუნესკოს მიერ „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ პროექტის დაარსებიდან, დღემდე, ამ სტატუსს სხვადასხვა კონტინენტისა და ქვეყნის 25 ქალაქი ატარებდა.

# აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილი და როლი ისლამურ სამყაროში



**ჩვენს ქვეყანაში „ისლამური სოლიდარობის წლის“ გამოცხადების შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი 2017 წლის 10 იანვრით დათარიღებული ბრძანების ტექსტში არის ფრაგმენტი, სადაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილი და როლი ისლამურ სამყაროში ძალიან მოკლედ, მკაფიოდ და ლოგიკურადაა გაცხადებული.**

ჩვენი სამშობლო, აზერბაიჯანი, მუსლიმური ქვეყანაა, რომელიც ზემოთ ხსენებულ ოცეულს შორისაა. ამრიგად, აქ მცხოვრები მოსახლეობის 96% მუსლიმია, თუმცა ჩვენი ქვეყანა არ არის ისლამური რესპუბლიკა, ის არის ღირსეული სახელმწიფო, რომელიც დგას მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებს შორის და იცავს დემოკრატიულ პრინციპებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

აზერბაიჯანი მრავალი ეროვნებისა და რელიგიური კონფესიის მშვიდობიანი თანაარსებობის უნიკალური მაგალითია. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანობის პირველმა მიმდევრებმა აზერბაიჯანს შეაფარეს თავი და მოგვიანებით დააარსეს ალბანეთის ავტოკეფალური ეკლესია.

აზერბაიჯანში ისლამის მოსვლასთან ერთად რელიგიური შემწყნარებლობის ტრადიციები კიდევ უფრო განმტკიცდა. მუსლიმური ტოლერანტობის საფუძველია წმინდა ყურანის სურები და აიათები (ლექსები). ასევე ყურანის 30-ე რომის სურას 22-ე სტროფში ნათქვამია, რომ ღმერთმა შექმნა ყველა, განურჩევლად მათი ენისა და ფერისა. ამიტომ ისინი, თანასწორნი არიან ღვთის წინაშე. ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი ცნობების მიხედვით, VII-VIII საუკუნეებში მუსლიმები პატივისცემასა და შემწყნარებლობას ავლენდნენ იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ზოროასტრიზმის მიმდევართა მიმართ.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალრიცხოვან ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში მათი საერთო ბედის ფაქტორმაც დიდი როლი ითამაშა. ისტორიის მანძილზე აზერბაიჯანში მცხოვრები ხალხები არაერთხელ გახდნენ დამოკიდებულნი ძლიერ სახელმწიფოებზე და ასეთმა არახელსაყრელმა პირობებმა აიძულა ისინი ერთმანეათს დაახლოვებოდნენ, მიუხედავად მსოფლმხედველობრივი განსხვავებისა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აზერბაიჯანში არსებული ტოლერანტობის საფუძვლების გამო დიდმა საფრთხემ გამოიწვია ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა და მილიონზე მეტი თანამემამულის დევნილობა მათი სამშობლოდან.

აზერბაიჯანის ხალხმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა კომუნისტური სისტემის ქვეშ, საბოლოოდ დაიბრუნა დამოუკიდებლობა ეროვნული პოლიტიკოსის და დიპლომატის, დიდი ლიდერის ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მან ქვეყანა საერთაშორისო დონეზე აიყვანა. ქვეყანამ ახალი მოწინავე მოდელი „აზერბაიჯანიზმი, სახელმწიფოებრიობა, ეროვნულ-სულიერი და რელიგიურ-ზნეობრივი ღირებულებების“ მოდელი გამოიყენა. მოწინავე ქვეყნებმა და მათმა ლიდერებმა, პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა, რელიგიურმა პირებმა ჰეიდარ ალიევის ეს ღვაწლი შეაფასეს, როგორც ღირებული მაგალითი.

დღეს აზერბაიჯანში 50-მდე ეკლესია, სალოცავი და სინაგოგაა. მათგან 6 რუსული მართლმადიდებლურია, 4 ქართული მართლმადიდებლური, 5 სომხური გრიგორიანული, 1 რომაულ კათოლიკური... აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მათ შორის ბაქოში შემორჩენილია სომხური ეკლესიები და სასაფლაოები, რომელთა დანგრევაც დაუშვებელია.

ყველა ეს ფაქტი აჩვენებს, რომ ჩვენს სამშობლოს, რომელიც არის მუსულმანური ქვეყანა, აქვს სრულიად ტოლერანტული და შემწყნარებლური პირობები. არსებული კანონების ფარგლებში შექმნილია ყველა პირობა არამუსლიმური თემების თავისუფალი საქმიანობისთვის.

აზერბაიჯანის იშვიათი გამოცდილება რელიგიათშორისი დიალოგისა და თანამშრომლობის სფეროში დაფასებულია და აღიარებულია საზღვარგარეთ. ამის ნათელი მაგალითია რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის იოანე პავლე II-ის ისტორიული ვიზიტი რესპუბლიკაში 2002 წლის 22-24 მაისს. ბაქოში ყოფნისას მან სპეციალურად მოიხსენია აზერბაიჯანის ტოლერანტობის ისტორიული ტრადიციები, რადგან აქ თავშესაფარი იპოვეს რომის ხელისუფლების მიერ დევნილმა ქრისტიანებმა.

პატრიარქი ბართლომე პირველი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში 2003 წლის 16-18 აპრილს იმყოფებოდა. აღმოსავლეთ რომის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ურთიერთგაგებისა და შეთანხმების მიღწევა მრავალ რთულ საკითხზე, რაც იწვევს სხვადასხვა რელიგიის ხალხის შეშფოთებას, ასევე მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და რელიგიათაშორისი დიალოგის შემდგომ განვითარებას. აზერბაიჯანში ჩასვლამდე პატრიარქი სამ მუსულმანურ ქვეყანას ეწვია. მისი აღიარებით, სახელმწიფო-რელიგიური ურთიერთობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ისევე, როგორც ტრადიციულ და არატრადიციულ რელიგიურ კონფესიებს შორის არსებული ურთიერთობები სამაგალითოა. მან თქვა: “მე კმაყოფილი ვარ აქ ტოლერანტობის დონით. აზერბაიჯანში ყველას შეუძლია მიჰყვეს რელიგიას, რომელსაც სურს და თაყვანი სცეს მას“.



ქალაქი შუშა წელს ისლამური სამყაროს კულტურული დედაქალაქია

წმიდა მრევლის ქალთა საკათედრო ტაძრის შენობა, რომელიც დაიხურა 1920 წელს, 1991 წელს გადაეცა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას. 2001 წლის 27 მაისს აზერბაიჯანში ვიზიტით მყოფმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ ეს ტაძარი წმინდად გამოაცხადა და საკათედრო ტაძრის სტატუსი მიანიჭა. ცერემონიაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა თქვა: „აზერბაიჯანი და მისი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდნენ რელიგიური შემწყნარებლობით. მოხარული ვარ, რომ აქ ყველამ აღნიშნა ეს და ეს მართალია“.

ებრაული თემის კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც რესპუბლიკაში უძველესი ტრადიციები აქვს, ასევე აზერბაიჯანის მთავრობის ზრუნვით არის მოსილი. ანტისემიტიზმს არასოდეს ჰქონია ადგილი აზერბაიჯანში და ახლაც არ აქვს. აზერბაიჯანის დიდმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა 1998 წლის 15 ნოემბერს ებრაული თემების ლიდერებთან შეხვედრისას განაცხადა: „ასეთი ინციდენტები რესპუბლიკაში არ ხდება და ჩვენ არასოდეს დავუშვებთ მათ”.

სახელმწიფო და რელიგია არის ორი მნიშვნელოვანი ელემენტი საზოგადოებისა. პირველი, ეს ნიშნავს კანონის უზენაესობას და მეორე, კანონის არსს, რომელიც შედგება ზნეობისა და სულიერებისგან. ისტორია გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება, რომელიც არ არის დაფუძნებული მორალზე და სულიერებაზე, დიდხანს ვერ ძლებს. სულიერება ტრადიციულად იკვებება რელიგიური ღირებულებებით. ამგვარად, სახელმწიფო და რელიგია სჭირდება ერთმანეთს, ერთის არსებობა აუცილებელია მეორისთვის. თუ აზერბაიჯანში რელიგიაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ისლამზეა ლაპარაკი. რადგან მოსახლეობის 96% ისლამის მიმდევარი, მუსლიმია. აზერბაიჯანში „ისლამიზმს“ არა აქვს სხვათაგან გამორჩეული იდეოლოგიური მნიშვნელობა, ეს ნიშნავს სხვა რელიგიებთან თანაცხოვრების პრინციპის შენარჩუნებას მაღალი ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის პირობებში. ეს არის სეკულარული სახელმწიფოს ფარგლებში არსებობის არსი.

**თუმცა, დღევანდელი განვითარების დინამიკის თვალსაზრისით, აზერბაიჯანის რესპუბლიკას აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა ამერიკისა და ევროპის თურქულ და მუსულმანურ ქვეყნებს შორის, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში. პირველ რიგში, ეს აიხსნება იმით, რომ აზერბაიჯანს აქვს უძველესი კულტურა, მათ შორის ათასწლიანი ისლამური სიმდიდრე და სულიერება.**

აზერბაიჯანის გეოსტრატეგიული პოზიცია, მისი მდებარეობა ევროპის ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ „აბრეშუმის გზაზე“, ყოველთვის იპყრობდა მსოფლიოს ქვეყნების ყურადღებას და ქმნიდა საფუძველს მისი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის. მეორე მხრივ, დღეს აზერბაიჯანში ვითარდება და ყვავდება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი, ნავთობის მრეწველობა, მძიმე მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, რომლებსაც შეუძლიათ არსებული სტრუქტურისა და მისი განუყოფელი კომპონენტის კულტურის მხარდაჭერა, დაცვა და გაძლიერება. შედეგად, დღეს აზერბაიჯანელებს შეუძლიათ კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანონ მსოფლიო კულტურაში.

**2001 წლის 9-10 ნოემბერს ბაქოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ჰეიდარ ალიევის მხარდაჭერითა და მონაწილეობით გამართულ მსოფლიო აზერბაიჯანელთა I კონგრესზე აღინიშნა, რომ დედამიწაზე 50 მილიონზე მეტი აზერბაიჯანელია. დღეს კი აზერბაიჯანის სუვერენული რესპუბლიკა არის ისტორიულად მრავალფეროვანი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პროცესების შედეგად ეროვნული სიამაყის, მორალური მხარდაჭერისა და ნდობის ადგილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩასახლებული ჩვენი თანამემამულეებისთვის.**

ისლამი აზერბაიჯანში უმრავლესობის რწმენაა. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი, რომელიც ისტორიის მანძილზე აზერბაიჯანის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო, შემდგომში დიდი ზეწოლა და დეფორმაცია განიცადა. თუმცა, როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა 2006 წლის ყურბან ბაირამის დღესასწაულზე – „მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის ხალხს უცხო იდეოლოგიების პირობებში უწევდა ცხოვრება, ისინი არასოდეს განშორებულან თავიანთ ისტორიულ ფესვებს და შეინარჩუნეს ეროვნული ტრადიციები, რელიგიური მრწამსი და რწმენა“.

დღეს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აზერბაიჯანი უბრუნდება საკუთარ თავს, გამორჩეულად უფრთხილდება თავის ეროვნულ-კულტურულ ტრადიციებს, მათ შორის ისლამურ ღირებულებებს; აძლევს მათ ახალ შინაარსს.

დამოუკიდებლობის წლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფარგლებში, ხორციელდებოდა სერიოზული და სასარგებლო თანამშრომლობა მუსლიმური სამყაროს ქვეყნებთან და ამავდროულად გავლენიან მუსლიმურ ორგანიზაციებთან, შესაბამისი ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების – აზერბაიჯანის რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით. შეხვედრები გაიმართა საერთაშორისო რელიგიურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა „რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო ასოციაცია“ და „ისლამური მსოფლიო ლიგა“. თურქეთის, ირანის, ეგვიპტისა და საუდის არაბეთის სამეფოს შესაბამის სტრუქტურებთან გაფორმდა დოკუმენტები რელიგიური თანამშრომლობის შესახებ. მომზადდა მოხსენებები ქვეყანაში არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ და გაეგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა ევროპის საბჭო, გაერო და ეუთო.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღეს 2000-ზე მეტი მეჩეთია, რომელთაგან 150 ფინანსდება ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი უცხო ქვეყნების შესაბამისი ორგანიზაციების მიერ, მათ შორის 62 ქუვეითის „ისლამური მემკვიდრეობის აღორძინების საზოგადოების“, 28 თურქეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ – „ახალგაზრდული დახმარების ფონდი“, ხოლო 8 ააშენა თურქეთის ფონდმა Diyanet-მა.

**(დღეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიციებით მეჩეთები აღარ შენდება).**

ამიტომ ჩვენმა სახელმწიფომ და ხალხმა, რომელმაც 44-დღიანი სამამულო ომისა და ერთდღიანი ანტიტერორისტული ოპერაციების შედეგად სომხეთის ოკუპაციის ქვეშ მყოფი ყველა ტერიტორიის გათავისუფლებით უზრუნველყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთლიანობა და სუვერენიტეტი, კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ყარაბაღში და სხვა ისტორიულ მიწებზე ხალხთა მორალი და ზნეობა არ ანადგურებს მეჩეთებს, ეკლესიებს, მუზეუმებს, სურათების გალერეებს, არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებს, სასაფლაოებს, რომლებიც განასახიერებს მათ, არამედ აღადგენს მათ.

შემთხვევითი არ არის, რომ 2023 წლის 25 სექტემბერს, ყატარის სახელმწიფოს დედაქალაქ დოჰაში, ისლამური სამყაროს კულტურის მინისტრთა მე-12 კონფერენციაზე, თითქმის 30 წლის განმავლობაში (1992-2020 წწ.) სომხური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ქალაქი შუშა, აზერბაიჯანის კულტურული დედაქალაქი, რომლის მეჩეთები, მუზეუმები და ისტორიული ძეგლები განადგურდა, 2024 წლისთვის „ისლამური სამყაროს კულტურულ დედაქალაქად“ გამოცხადდა.

**ეს გადაწყვეტილება არის მსოფლიო საზოგადოების, მათ შორის ისლამური სამყაროს განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატულება შუშას მიმართ, რომელიც აზერბაიჯანის ისტორიული, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია და სრულად გამოხატავს ისლამური კულტურის სიმდიდრეს.**

**ვიმედოვნებთ, რომ ეს გადაწყვეტილება და მისი განხორციელების შედეგად მიღებული ზომები გახდება ისლამური სამყაროს სოლიდარობის ახალი სიმბოლო და უნიკალურ როლს შეასრულებს ორმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობების შემდგომ გაფართოებაში.**

**სამედ ბაირამზადე,**
**ისტორიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი**

5 სომხური ეკლესიიდან 3 ყარაბაღის ტერიტორიაზეა და სომხური ოკუპაციის დროს (1988-2020 წწ.) აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო და მთავრობა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვერაფერს აკეთებდა. პირიქით, ოკუპაციის დროს ყარაბაღის ტერიტორიაზე სომხებმა გაანადგურეს 22 მუზეუმი, 4 სურათების გალერეა, 762 არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლი და სასაფლაო. ყარაბაღის ტერიტორიაზე სომხების მხრიდან ძალადობის გარკვეული შემთხვევები საერთაშორისო ორგანიზაციებმაც კი აღნიშნეს).

# სიღნაღის კულტურულ-შემოქმედებით ცენტრად ჩამოყალიბების იდეა დავით სონღულაშვილისა ეკუთვნის!

## სიღნაღის თეატრალური ფესტივალი



**მაჟორიტარი დეპუტატის დავით სონღულაშვილის თაოსნობით 2023 წელს დაფუძნებული ფესტივალი მეორედ, ამჯერად სიღნაღის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სტატუსით ტარდება და მონაწილეობას როგორც ქართული, ასევე უცხოური თეატრები მიიღებენ. 13 მონაწილეს შორის იქნებიან თურქეთის, პოლონეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროების თეატრალური კოლექტივები და ორი დასი ესპანეთიდან.**

ფესტივალი 4 ივნისს გაიხსნა „მოხეტიალე მთვარის თეატრის" სპექტაკლით „ფიროსმანი", რომელიც რეჟისორმა ნიკოლოზ ლუარსაბიშვილმა დადგა. ფესტივალის გახსნას კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოსა და გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი მალხაზ ზეგიაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი მაჭავარიანი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, თეატრალური სფეროს წარმომადგენლები და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ.

„ფიროსმანი" თოჯინების თეატრის პრინციპით შექმნილი სპექტაკლია, რომელიც გვიამბობს გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ერთმოქმედებიანი წარმოდგენა გვაცნობს მხატვარს, რომელიც ბედისწერის, გაჭირვებისა თუ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მიუხედავად, არ კარგავს ადამიანის სახეს, ერთგული რჩება ისეთი ღირებულებებისა, როგორიც არის სიყვარული, ღირსება, თანაგრძნობა და თავისი ქცევითა და შემოქმედებით სხვებსაც მაგალითს აძლევს. სპექტაკლში მონაწილეობენ: ნინო კოტაშვილი, ლუკა ჭულუხიძე, ნიკალაი ამოევი, ნიკოლოზ მჭედლიშვილი, ნანიშა მეტრეველი, ალექსანდრე კვეზერელი, გიორგი თოთაძე, ლევან ბაიდური და ლელა ხაჩატუროვი.

სიღნაღის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ივნისში, ერთი კვირის განმავლობაში ტარდება. მაყურებელს საშუალება აქვს, იხილოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრებთან არსებული სახალხო თეატრების წარმოდგენები, სამოყვარულო დასებისა და სახელმწიფო თეატრების ერთობლივი სპექტაკლები და 2024 წლიდან - უცხოური დასების წარმოდგენებიც. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ახალგაზრდა რეჟისორი საბა ასლამაზიშვილი. თეატრის კრიტიკოსების, რეჟისორებისა და თეატრმცოდნეებისაგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ, რომელთაგან ორი უცხოელია, ქართულ და უცხოურ დასებს შორის I, II და III ადგილის გამარჯვებულები უნდა გამოავლინოს. საგულისხმოა, რომ წლევანდელი საპრიზო ფონდი გაზრდილია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თეატრების სადადგმო თუ საგასტროლო ხარჯისა და ნებისმიერი სხვა საჭიროებისათვის.




გარდა საკონკურსოდ შერჩეული სპექტაკლებისა, ფესტივალი საგანმანათლებლო პროგრამასაც მოიცავს: ერთი კვირის მანძილზე დაინტერესებული პირებისთვის გაიმართება მასტერკლასები, სამუშაო შეხვედრები და საჯარო ლექციები, რომელთაც თეატრალურ სფეროში მოღვაწე პროფესიონალები გაუძღვებიან.

ფესტივალი 11 ივნისამდე გაგრძელდება. მისი მიზანია მხარდაჭერა და ქართულ თეატრალურ სამყაროსთან ინტეგრაცია სამოყვარულო დასებისა, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი; ასევე კეთილშობილური მიზანია საქართველოში თეატრალური პროცესების წახალისება, სიღნაღის კულტურულ-შემოქმედებით ცენტრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ქალაქში თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია.

# ერთიანი ეროვნული გამოცდები 3 ივლისს დაიწყება

**ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებს.**

„საგნისა და სპეციალური მასწავლებლის გამოცდებზე დარეგისტრირებულები საგამოცდო პროცესში 5 ივლისიდან ჩაერთვებიან. 5 ივლისს ჩატარდება სტუდენტთა საგრანტო კონკურსიც. მაგისტრანტობის კანდიდატები კი საერთო სამაგისტრო გამოცდას 17 და 18 ივლისს ჩააბარებენ. დეტალური ინფორმაცია გამოცდის თარიღის, გამოცდაზე გამოცხადების დროისა და საგამოცდო ცენტრის მისამართის შესახებ მითითებული იქნება საგამოცდო ბარათზე. გამოსაცდელები ბარათების ამობეჭდვას საკუთარი სარეგისტრაციო გვერდიდან 20 ივნისის შემდეგ შეძლებენ. 2024 წელს საგამოცდო ცენტრები შემდეგ ქალაქებში გაიხსნება: **ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, ახალციხე, გორი, თბილისი, რუსთავი, თელავი, ხულო, ამბროლაური.**

შეგახსენებთ, რომ 2024 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დარეგისტრირდა 47 000-ზე მეტი აბიტურიენტი. სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის სურვილი 3 000-ზე მეტმა სტუდენტმა გამოთქვა. საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის რეგისტრაცია 10 000-ზე მეტმა მაგისტრანტობის კანდიდატმა გაიარა, ხოლო მასწავლებლის გამოცდის ჩასაბარებლად 18 900-ზე მეტი მსურველი დარეგისტრირდა.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე **www.naec.ge**, აბიტურიენტებისათვის სისტემატურად ქვეყნდება კონკრეტულ საგანთან დაკავშირებული რეკომენდაციები. რუბრიკა „რჩევები აბიტურიენტებს" გათვალისწინებულია იმ გამოსაცდელებისათვის, რომლებსაც სურთ დეტალურად გაეცნონ ჩასაბარებელს საგანთან დაკავშირებით ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. რაც შეეხება საგამოცდო პროცესსა და მასთან დაკავშირებულ წესებსა და ინსტრუქციებს, აბიტურიენტებს საშუალება აქვთ, გაეცნონ ცნობარში. ცნობარში ასევე მოცემულია ცხრილი, რომელშიც ასახულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემები, თითოეული გამოცდისათვის მინიჭებული კოეფიციენტი, კომპეტენციის ზღვარი, სწავლის საფასური და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები" – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

# განცხადება

**საქართველოს** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თავისი წესდების X თავის შესაბამისად, აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევად შემდეგ სამეცნიერო განყოფილებებში:

| სამეცნიერო განყოფილება | ვაკანსია |
|---|---|
| **სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება** | 1 |
| **ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება** | 1 |

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატად აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია, არის საქართველოს მოქალაქე და მოღვაწეობს საქართველოში. სტიპენდიატობის კანდიდატთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 50 წელს.

აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, საქართველოში ავტორიზებულ და აკრედიტირებულ უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ საბჭოებს და სამეცნიერო საზოგადოებებს, რაზედაც ისინი წერილობით, სათანადო მოტივირებით, წამოაყენებენ და აცნობებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატურების შესახებ არა უგვიანეს ერთი თვისა არჩევნების თაობაზე განცხადების გამოქვეყნებიდან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ეგზემპლარად): აკადემიის სტიპენდიატად წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც წარმდგენი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4x6, უმაღლესი განათლების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ასლები, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ვარსკვლავით აღნიშვნით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება, კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან მისი საქართველოში მოღვაწეობის შესახებ.

აღნიშნული განცხადება ქვეყნდება პრესაში, ასევე იგივე განცხადება და კანდიდატის მონაცემები **(CV)** განთავსებული იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებგვერდზე **www.gaas.dsl.ge,** რისთვისაც წარდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს მისი ელექტრონული ვერსიაც. საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში.

**განცხადებები მიიღება 2024 წლის 7 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (აკადემიური დეპარტამენტი. ოთახი 32. ტელ. 593 58 01 37; 579 26 69 88) საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 10 -დან 17 საათამდე.**

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ „ლაჯანური-წყალტუბოს" 500 კვ ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

**2024 წლის 24 ივნისი, 12:30 საათი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბრას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა; 2024 წლის 24 ივნისი, 16:30 საათი, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარისას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა; 2024 წლის 25 ივნისი, 11:00 საათზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ოფურჩხეთის ბიბლიოთეკის შენობა; 2024 წლის 25 ივნისი, 15:00 საათი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. დღნორისას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 26 ივნისის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი, მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 30 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# საფეხბურთო მოზაიკა

**მიმოხილვას უმნიშვნელოვანესი ინფორმაციით ვიწყებთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის ვიზიტი სომხეთში 20-წლამდელთა 2029 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ მეზობელ ქვეყანათა ერთობლივი განაცხადის წარდგენის შესახებ განზრახვის გასაჯაროვებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ამ ასაკში მოქმედი გვირგვინოსანია ურუგვაი, რომელმაც არგენტინაში გამართული მუნდიალი მოიგო.**




**როგორც** მოგეხსენებათ, ევრო – 2024-ზე ისტორიულ დებიუტამდე საქართველოს ნაკრები ერთადერთ სპარინგს 9 ივნისს პოდგორიცაში მონტენეგროსთან გამართავს, გერმანული ფორუმის ჯგუფში მისმა ორმა მეტოქემ კი საკონტროლო შეხვედრების გამართვა უკვე დაიწყო.

**იტალია – თურქეთი 0:0.** დაცვის ბურჯ სოიუნჯუსა და თავდამსხმ ელ იუნალის შემდეგ მეორე წამყვანი უკანახაზელი ქაბაქი მესამეა, რომელმაც სტუმართა ლაზარეთი შეავსო და შეკრება დატოვა. თუ ტრავმების ეპიდემია ასე გაგრძელდა, თურქების იტალიელ თავკაც ვინჩენცო მონტელას თვითონ მოუწევს ტურნირზე თამაშიო – იხუმრეს მისმა თანამემამულე კომენტატორებმა.

**პორტუგალია – ფინეთი 4:2.** ანგარიშმა არ მოგატყუოთ – რონალდუს გარეშე მოთამაშე ფავორიტები მხოლოდ 3:0-წე მოეშვნენ, საერთო ჯამში კი, როგორც სჩვევიათ, მრისხანედ გამოიყურებოდნენ.

**პარალელურად,** სულ უფრო მეტი დეტალი იკვეთება ხვიჩა კვარაცხელიას მომავალთან დაკავშირებით. კერძოდ, ფრანგული ეკიპის ინფორმაციით, პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით თურმე პირადად ესაუბრა კვარას, ამ უკანასკნელის გარემოცვა კი პარიზელთა სპორტულ დირექტორს ლუიშ კამპუშს შეხვდრია.

უფრო კონკრეტულად, პორტალი ტრანსფერმარკტი ხვიჩას 80 მილიონ ევროდ აფასებს, ხოლო პსჟ 100 მილიონს იხდის, რაზეც ნაპოლი უარს ამბობს. ზოგიერთი ვერსიით, დე ლაურენტისი ქართველს მინიმუმ 130 მილიონად შეელევა.

**როგორც მოსალოდნელი იყო, არ ცხრება პრემიერლიგის კლუბების ინტერესი გიორგი მამარდაშვილის მიმართაც, რომელიც ამ დღეებში ესპიენმა მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა შორის მე-10 პოზიციაზე დააყენა. ჩელსისთან კონკურენციაში განსაკუთრებით ნიუკასლი აქტიურობს, რომელიც ქართველი ლეგიონერის სანაცვლოდ მზად არის ვალენსიას გაუმჯობესებული 41-მილიონ-ევროიანი წინადადებით მიმართოს.**

**კიდევ ერთი სიახლე:** პოპულარულმა სტატისტიკურმა პორტალმა ოპტამ დამდეგი ევროპის ჩემპიონატის ფავორიტთა შორის უპირატესობა ინგლისს მიანიჭა, რომელიც მცირედით უსწრებს საფრანგეთს.

გაეცანით დანარჩენ მონაწილეთა სავარაუდო შანსებსაც: გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები, იტალია, ბელგია, დანია, ხორვატეთი, თურქეთი, ავსტრია, შვეიცარია, სერბეთი, შოტლანდია, უკრაინა, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ალბანეთი და საქართველო.

**წარმატებით** ჩაატარა ივნისის შეხვედრები საქართველოს ქალთა ნაკრებმა, რომელმაც **ბაქრაძის** გოლებით



ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ორივე შეხვედრა მოუგო კვიპროსის გუნდს – 2:0 (სტუმრად) და 1:0 (შინ). ინის ანტმანის შეგირდები უახლოეს მატჩებს ჯგუფის ლიდერ ბელარუსთან გამართავენ.

**ზემოთნახსენები კონტრაქტი** უკვე რეალობად იქცა და ანტონიო კონტე ამიერიდან ნაპოლის მთავარი მწვრთნელია, 3-წლიანი ხელშეკრულება კი ბონუსებიანად წელიწადში 7-8 მილიონ ევროს ითვალისწინებს ხელფასის სახით.

**სასიხარულო** ინფორმაცია მინიფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატიდანაც გვაქვს: სერბეთთან ზავისა (2:2) და ბულგარეთთან მარცხის (0:2) შემდეგ საქართველოს ნაკრებმა **საბა მაჩიტაძის** დუბლით 2:1 სძლია ფავორიტ პორტუგალიას და საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსით მერვედფინალში ითამაშებს!

## კარატე

# ოქრო-ვერცხლი პოლონეთიდან



**10 ქვეყნის 600-მდე სპორტსმენი შეიკრიბა პოლონეთის ქალაქ კარპაჩში, სადაც გათამაშდა პოლონეთის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, კარატეს კავშირისა და კარპაჩის კარატეს კლუბის ორგანიზებით გამართული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.**

შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა კარატისტებმა, რომლებიც სამშობლოში 3 მედლით დაბრუნდნენ.

უკვე მერამდენედ, განსაკუთრებით გვასახელა მსოფლიოს ოთხგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა, შავი ქამრის მე-5 დანის მფლობელმა **ჭაბუკა მახარაძემ,** რომელსაც ბადალი არ ჰყავდა უფროსთა შორის ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, ხოლო უფროსთა შორის ინდივიდუალურ კატაში მეორე ადგილი დაიკავა.

დიდ სპორტკომპლექსში ერთბაშად 4 ტატამზე გამართული ბრძოლების შემდეგ საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა 11 წლის ევროპის ორგზის ჩემპიონი **ანდრია საათაშვილი** (თანატოლთა შორის ინდივიდუალური კუმიტე, 50 კგ, წონითი კატეგორია).

## კორტზე

# რეკორდები — მენისკით...

**მოულოდნელად ვითარდება მოვლენები როლან გაროსზე, რაც ნოვაკ ჯოკოვიჩის ტრავმას უკავშირდება, თუმცა, მოდით, ყველაფერზე თანმიმდევრულად ვისაუბროთ.**

კარიერაში პირველად, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა საწყისი 4 წრის დაძლევას ერთბაშად 13 საათი და 48 წუთი მოანდომა მაშინ, როცა აქამდე საამისოდ ყველაზე მეტი მხოლოდ 12 საათი ჰქონდა დახარჯული.

ასეთმა მარათონმა განსაკუთრებით არგენტინელ ფრანსისკო ჩერუნდოლოსთან 5-სეტიან ბრძოლაში იჩინა თავი, როცა სერბ გენიოსს სამედიცინო შესვენების აღება მოუხდა და მენისკის ტრავმის გამო ანთების საწინააღმდეგო საშუალებებსა თუ წამლებსაც კი მიმართა.



მართალია, საბოლოოდ დიდი მუზარადის ტურნირების 24-გზის ტრიუმფატორმა მძიმე გამარჯვება მაინც მოიპოვა, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი დაუჯდა, რადგან მეოთხედფინალში ნორვეგიელი კასპერ რუდის წინააღმდეგ კორტზე გასვლა ვეღარ შეძლო და ტურნირს ჩაეხსნა.

თუმცა, ჯოკოვიჩი რისი ჯოკოვიჩი იქნებოდა, მორიგი რეკორდები არ დაემყარებინა და როჯერ ფედერერის მიღწევები არ დაემხო.

კერძოდ, ნოლე დიდი მუზარადის მეოთხედფინალში 59-ედ გავიდა და, ამავე დროს, სამხრეთამერიკელთან ასევე დიდი მუზარადის ტურნირებზე 370-ე შეხვედრა მოიგო.

მოკლედ, მიდი და სდიე ასეთ ჯადოქარს.

## ოქტაგონზე

# 3 წლის შემდეგ



**ორ წონით კატეგორიაში UFC-ის ყოფილმა ჩემპიონმა კონორ მაკგრეგორმა ახლახან, სავარაუდოდ, მსუბუქი ტრავმა მიიღო.**

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ სკანდალური ირლანდიელი ამერიკელ მაიკლ ჩანდლერთან UFC-303-ის ტურნირის ეგიდით 30 ივნისისთვის დაგეგმილი ბრძოლისთვის ემზადება. იგი ოქტაგონზე უკვე 3 წელია აღარ გამოჩენილა, როცა ამერიკელ დასტინ პორიესთან წააგო და თანაც ფეხი მოიტეხა, ხოლო სულ 28 შერკინებიდან 22 აქვს მოგებული.

## ოკეანის გაღმა

# თავდავიწყება ახლა იწყება

**დღეს იწყება ნბა-ს ფინალური შეხვედრების სერია ბოსტონსა და დალასს შორის, რომელიც, საყოველთაო აზრით, ღირსეულ მეტოქეთა დაუვიწყარ სანახაობად უნდა იქცეს.**

შეგახსენებთ, რომ სასტარტო მატჩის მასპინძელმა სელტიქსმა ინდიანასთან აღმოსავლეთ კონფერენციის დასკვნით რაუნდში 4:0 გაინავარდა და, საერთოდაც, მიმდინარე პლეი-ოფში მხოლოდ 3 მარცხი იწვნია, რაც ბრაუნ-ტეიტუმის მრისხანე დუეტის დიდი დამსახურებაა, ტეხასელებმა კი დასავლეთ კონფერენციის ფავორიტი მინესოტა 4:1 დასცეს, მათი სლოვენიელი ლიდერი **ლუკა დონჩიჩი** კი, რომელსაც შესანიშნავად აუბა მხარი კაირი ირვინგმა, – კონფერენციის ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, რაც სავსებით ლოგიკურია – მავერიქსის 25 წლის სუპერვარსკვლავი 5-დან 4 ბრძოლაში ბომბარდირი გახდა.



რაც შეეხება სუპერფინალების ბილეთებს, ყველაზე იაფების ფასი 800-850 დოლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო შავ ბაზარზე 4000 დოლარიდან იწყება.

# კახა კალაძე ბაქოსა და განჯის მერებს შეხვდა



**თბილისის მერი კახა კალაძე მოადგილე კახა გულედანთან ერთად ბაქოს მერს ელდარ აზიზოვსა და განჯის მერს ნიაზ ბაირამოვს შეხვდა.**

თბილისის მერიის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ასევე, თბილისსა და ბაქოს, როგორც დაძმობილებულ ქალაქებს შორის, თანამშრომლობის გაღრმავებას.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ მომეცა შესაძლებლობა, გიმასპინძლოთ თბილისში. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოსა და აზერბაიჯანს მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებთ და ორივე ქვეყნის მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდეს. ჩვენ ასევე გვაკავშირებს ურთიერთობები კულტურული მიმართულებით. ამ კუთხით არაერთი პროექტი ხორციელდება, რაც მისასალმებელია. მოხარული ვარ, რომ საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, თბილისში შენდება ჰეიდარ ალიევის სახელობის დრამის თეატრი. 2023 წელს კი, ქალაქ განჯაში გაიხსნა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური დაფა, რისთვისაც მინდა, მადლობა გადაგიხადოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა ბაქოელი და განჯელი კოლეგები მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილ „თბილისობის“ დღესასწაულზე მოიწვია.

თავის მხრივ, ბაქოს მერმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევისთვის საქართველოსთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია.

„თითოეული აზერბაიჯანელისთვის ქართველი ხალხი ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა, მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას თქვენს ქვეყანაში მცხოვრები აზერბაიჯანელების მიმართ დამოკიდებულებისთვის. მსოფლიოში ყველა ქვეყანა გამოწვევების წინაშეა, ეს ეხება ჩვენს ქვეყნებსაც. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნებსა და ქალაქებს შორის ურთიერთობების დამყარება. ნებისმიერ წარმატებას საფუძვლად უდევს ადამიანური ფაქტორი. მე ყოველთვის მახარებს თქვენთან შეხვედრა. მიხარია, რომ აქ ვარ“, – განაცხადა ელდარ აზიზოვმა.

ბაქოსა და განჯის მერები თბილისში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 ფორუმის ფარგლებში იმყოფებიან.

# ხუდადოვის ტყეში გამწვანებისა და დასუფთავების სამუშაოები ჩატარდა



**გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ხუდადოვის ტყეში გამწვანებისა და დასუფთავების აქცია გაიმართა. თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, შპს „თბილსერვის ჯგუფისა“ და შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებმა ტერიტორიაზე 150 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი დარგეს, ასევე, ტერიტორია გაიწმინდა სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან.**

გამწვანებისა და დასუფთავების ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის მერის მოადგილემ ანდრია ბასილაიამ, შპს ,,თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა დავით ფაჩულიამ და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პაატა ტოგონიძემ.

„დღეს მუნიციპალიტეტი შეუერთდა გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს. აქციის ფარგლებში, სამი სახეობის ნერგები დავრგეთ, ასევე, ხდება ტერიტორიის დასუფთავება. ეს არ არის ერთჯერადი აქცია, ხუდადოვის ტყეში ნერგები წელს კიდევ დაირგვება და მომდევნო წლებშიც გავაგრძელებთ ამ მნიშვნელოვან სარეკრეაციო სივრცეზე ზრუნვას“, – განაცხადა ანდრია ბასილაიამ.

„ხუდადოვის ტყე, რომლის ფართობიც, დაახლოებით, 40 ჰექტარია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მწვანე სივრცეა ჩვენი ქალაქისთვის და აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ. მინდა, მოვუწოდო მოქალაქეებს, კერძო კომპანიებს, ასეთ რეკრეაციულ სივრცეებში ნუ განათავსებენ უკანონოდ სამშენებლო ნარჩენებს. ეს ყველაფერი ძალიან ცუდად აისახება გარემოზე, ქალაქსა და მის მოსახლეობაზე“, – აღნიშნა დავით ფაჩულიამ.

ნერგების დარგვასა და დასუფთავების სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა, გამგეობის თანამშრომლებმა და თბილისის საკრებულოს წევრებმა.

5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღედ 1972 წელს გამოცხადდა. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და გარემოს დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## სულთათანა



# გლოვის დღე დაგიდგათ „ფხოვის ზარებო“!

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მხატვრის, ფერწერის დიდოსტატის**

## ილია პატაშურის

**გარდაცვალების გამო.**

1960-იანი წლების ცნობილი ხელოვანის ილია პატაშურის შემოქმედება ფერისა და ფორმის განსაკუთრებული თანხვედრით გამოირჩევა.

ილია პატაშური 1939 წელს სოფელ ხევშაში დაიბადა. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მთას. მხატვრის შემოქმედება მრავალფეროვანია – ერთმანეთს ენაცვლება ტრადიციული, ისტორიული და ყოფითი სცენები, პეიზაჟი, პორტრეტი თუ ნატურმორტი. მისი ნამუშევრები შესრულებულია ინტენსიურ ფერთა შეხამებით. ილია პატაშურის განსაკუთრებით ცნობილ ფერწერულ ტილოებს შორის არის: „დიდგორი“, „ვედრება“, „ბროწეულები“, „კრწანისი“ და სხვა. იყო არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოფენის მონაწილე. მისი ტილოები გამოიფინა საფრანგეთში, ინგლისში, აშშ-სა და იაპონიაში.1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით, 2021 წელს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულმა გალერეამ უმასპინძლა ილია პატაშურის ნამუშევრების რეტროსპექტულ გამოფენას – „ფხოვის ზარები“. ერთი თვის მანძილზე გალერეაში წარმოდგენილი იყო მხატვრის 120 ნამუშევარი (ფერწერა, გრაფიკა). გამოფენისთვის მომზადდა და გამოიცა ილია პატაშურის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი კატალოგიც. გამოფენის დახურვისას მხატვარმა სხვადასხვა პერიოდში შესრულებული 10 ნახატი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო პატივს მიაგებს ილია პატაშურის ხსოვნას, ქართული კულტურის წინაშე მის დამსახურებას და უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს.**

# ასეთი გახრწნილი, ავაზაკი ფოტოგრაფებიც არსებობენ!!!




**სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისა და სექსუალური ხასიათის ქმედების იძულების 11 ფაქტი გამოავლინა.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული გ.ქ. წლების განმავლობაში, ინტერნეტ სივრცეში, მათ შორის, სოციალურ ქსელ „Facebook“-ის სხვადასხვა ჯგუფებში, განცხადებებს ათავსებდა, სადაც მოტყუებით უთითებდა, რომ იყო ფოტოგრაფი და ქალის თეთრეულის რეკლამისთვის ფოტოსესიაზე გოგოებს სპეციალურად შერჩეულ ბინებში იწვევდა. გარდა ამისა, იგი შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ქალბატონებს ძიძის, მომვლელის და მასაჟისტის ვაკანსიაზეც იბარებდა ბინაში, დაინტერესებულ პირებს ეცნობოდა გამოგონილი ვინაობით, მათ შორის – ნუკრი ჯიოშვილის და ივანე ჯაიანის სახელით, რის შემდეგაც შედიოდა მათთან კომუნიკაციაში და ცდილობდა ნდობის მოპოვებას.

ბრალდებული მამაკაცი, ბინაში მოტყუებით მიყვანილ დაზარალებულებთან ე.წ საცდელ ფოტოსესიას აწყობდა, რა გზითაც მოტყუებით მოიპოვებდა დაზარალებულების ინტიმური შინაარსის ფოტო-ვიდეოფაილს. ფოტოსესიის შემდგომ პერიოდში, ბრალდებული აღნიშნულ ქალბატონებთან ცდილობდა ურთიერთობის გაგრძელებას და რიგ შემთხვევებში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინტიმური ფოტოების გავრცელების მუქარით, აიძულებდა სქესობრივი კავშირის დამყარებას. ბრალდებული, ასევე, დაზარალებულებს სასმელში გაურკვეველ ნივთიერებას უყრიდა და უმწეო მდგომარეობაში მყოფ მსხვერპლებთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა, რა დროსაც იგი ფარულად, უკანონოდ ახდენდა დაზარალებულებთან სქესობრივი კავშირის ვიდეო გადაღებას და დაარქივებას.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ბრალდებული, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 19 წლის დაზარალებული გოგოს პირადი ცხოვრების კადრებით შანტაჟის ფაქტზე, 2024 წლის 22 მარტს დააკავა. ბრალდებულის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 200-მდე ქალის 5000-ზე მეტი ინტიმური შინაარსის ფოტო და ვიდეომასალა, მათ შორის ფარულად გადაღებული ვიდეოკადრები, რომელსაც ბრალდებული წლების განმავლობაში უკანონოდ მოიპოვებდა.

აღნიშნულ ეტაპზე გამოძიების მიერ შესწავლილ კომპიუტერულ მოწყობილობებში არსებული ელექტრონული ინფორმაციის, მათ შორის, ფოტო-ვიდეომასალის, ბრალდებულსა და დაზარალებულებს შორის არსებული მიმოწერების და ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად იდენტიფიცირდა 11 დაზარალებული, რის შედეგადაც მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე საქართველოს პროკურატურის მიერ გამოტანილი დადგენილებით, მამაკაცს ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, ასევე, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების დამატებით 11 ეპიზოდზე წარედგინა.

გ.ქ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა.

დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე აგრძელებს გამოძიებას, რომლის ფარგლებშიც ყველა მსხვერპლის შემთხვევა იქნება შესწავლილი და მათი უფლებები დაცული.

* * *

**სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი – 199, ასევე განცხადებით მომართვა შესაძლებელია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებში – თბილისში (მ. ასათიანის ქ. №9), თელავში (მის: ერეკლე II-ის გამზირი, №16), ქუთაისში (მის: ი. აბაშიძის გამზირი N 22), ზუგდიდსა (მის: კოსტავას ქ. N 58) და ბათუმში (მის: გ. მაზნიაშვილის ქ N 54).**



## ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ესეების კონკურსის გამარჯვებულები

**5 ივნისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაჯილდოვდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ესეების კონკურსის „წიგნიერის“ გამარჯვებულები.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ადგილები ასე გადანაწილდა:

**I ადგილი – გიორგი ხატიაშვილი** (ყვარელი);

**II ადგილი – ანი ფილია** (წეროვანი);

**III ადგილი – ნიკოლოზ ჩაგანავა** (ფოთი).

2024 წელს „წიგნიერი“ მერვედ ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეებმა თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით.

გამარჯვებულები დააჯილდოვეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, „თიბისი ბანკმა“, ელექტრონული წიგნების პლატფორმა „საბამ“ და გამომცემლობა „არტანუჯმა“.

## სიცილი ჯანმრთელობაა



**ზევირი** მისაღები გამოცდიდან გამოსულ ყმაწვილს მამა ეკითხება:

– ბილეთს რომ უპასუხე, გამომცდელებმა დამატებითი კითხვები თუ დაგისვეს?

– კი, ოღონდ ორივე ერთსა და იმავეს მეკითხებოდა: „შვილო, შენ იდიოტი ხარ?“

* * *

**გახსოვდეთ**, რომ თუკი ვინმეს ფულს ზედიზედ რამდენჯერმე ასესხებთ, მომავალში ის აუცილებლად გაგითვალისწინებთ საკუთარი ხარჯების დაგეგმვისას!

* * *

**ჩემო** გონიერო, კეთილშობილო, გმირო ბიჭო, ცხოვრებაში ყველაზე მეტად მინდა, რომ შენი ცოლი გავხდე! მაგრამ, რადგანაც ვიცი, რომ საამისოდ მარტო ჩემი სურვილი არ კმარა, ყოველ შემთხვევისთვის, აგერ, „პისტოლეტიც“ წამოვიღე!“

* * *

**გაქურდულ** ბინაში მისულმა დეტექტივებმა ბოროტმოქმედის ხელისგულის ანაბეჭდის მიხედვით დაადგინეს, რომ მას წინ ხანგრძლივი და მდიდრული ცხოვრება ელის, თუმცა დიდ სიყვარულს მაინც ვერ ეღირსება.

* * *

**ორი** არაბი შეიხი საუბრობს:

– მე მიყვარს სპორტული აღნაგობის ქალები! – ამბობს ერთი.

– მეც, – თავს უკრავს მეორე. – მაგალითად, ცოტა ხნის წინათ ცოლად შევირთე ფრენბურთელ ქალთა მთელი გუნდი!..

## ახალი ბანკნოტები – მეფე ჩარლზის გამოსახულებით



**გაერთიანებულ სამეფოში მიმოქცევაში მეფე ჩარლზის გამოსახულებით ახალი ბანკნოტები ჩაეშვა, ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.**

კუპიურები 5, 10, 20 და 50 ფუნტი სტერლინგის ნომინალური ღირებულებისაა და ისინი ეტაპობრივად ჩაანაცვლებენ დედოფალ ელისაბედ მეორის დროინდელ ბანკტნოტებს.

ამასთან, რაც შეეხება მონეტებს, მეფის გამოსახულებით ისინი მიმოქცევაში 2022 წლის დეკემბრიდან არსებობს.

## დედამიწაზე წვიმა პირველად 4 მილიარდი წლის წინ მოვიდა

**ახალი კვლევის თანახმად, დედამიწაზე პირველი წვიმები 4 მილიარდი წლის წინ დაიწყო. ეს ნიშნავს, რომ პლანეტაზე წვიმა 500 მილიონი წლით ადრე მოვიდა, ვიდრე ეს აქამდე გვეგონა.**



**ავსტრალიელმა და ჩინელმა მკვლევრებმა ჟანგბადის იზოტოპები გამოიყენეს, რომლებიც ჩაფლული იყო უძველეს მინერალებში. ამით მკვლევრებს სურდათ, დაედგინათ, როდის მოვიდა დედამიწაზე პირველი წვიმა.**

დასავლეთ ავსტრალიის ბორცვებში დედამიწის ქერქის უძველესი მასალაა შემონახული. ამ მასალაში პირველადი მინერალები 4,4 მილიარდი წლის განმავლობაში შედარებით უცვლელად შემოინახა. სწორედ ამ კრისტალებში აღმოაჩინეს დედამიწის უძველესი წვიმების კვალი.

მკვლევრების თქმით, ამ კრისტალებში დედამიწის პირველი წვიმების მტკიცებულებაა.

„მსუბუქი ჟანგბადის იზოტოპები, როგორც წესი, ცხელი, მტკნარი წყლის შედეგია. ეს აღმოჩენა არა მხოლოდ ნათელს ჰფენს დედამიწის ადრეულ ისტორიას, არამედ უთითებს, რომ სიცოცხლისთვის შესაბამისი პირობები პლანეტის ჩამოყალიბებიდან 600 მილიონი წლის შემდეგ უკვე იყო“, – აღნიშნულია კვლევაში.

**ეს ნიშნავს, რომ მშრალი მიწა, მტკნარი წყლის რეზერვუარები, წყლის ციკლი და შესაძლოა, სიცოცხლეც კი, დედამიწაზე ბევრად უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე აქამდე გვეგონა.**

## სისხლიან გარჩევას მკვლელობა მოჰყვა

**ვარკეთილში სისხლიანი გარჩევის სავარაუდო მიზეზად მეზობლებს შორის ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირება სახელდება, რომელიც 2 ახალგაზრდის მკვლელობით დასრულდა.**

**როგორც ადგილობრივები ამბობენ, ახალგაზრდები ერთ-ერთ ბინაში მეზობელმა ჩაცხრილა.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.**

**გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.**

## ესეების კონკურსი – „ნუ წაართმევ ბავშვობას“



**„ნუ წაართმევ ბავშვობას“ცხადდება ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის, რომელიც მიმდინარე წლის 26 ივნისამდე გაგრძელდება.**

ესეს შინაარსი უნდა ეხებოდეს ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ თემატიკას;

ესეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 200-300 სიტყვას;

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს (ასაკი 10-დან 18 წლამდე);

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოაგზავნონ შემდეგი ინფორმაცია – ავტორის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, სკოლის დასახელება და ტელეფონის ნომერი;

თემასთან და მითითებულ პირობებთან არსებითად შეუსაბამო, უცენზურო, დისკრიმინაციული, ძალადობის შემცველი საკონკურსო ნამუშევრები, ასევე, ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება ზოგად მორალურ და ეთიკურ პრინციპებს, არ მიიღება;

თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს, წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ესე;

მონაწილემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი ესე, ინტერნეტში მოძიებული ესე კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს;

წარმოდგენილ ესეზე საავტორო უფლებები უნდა ეკუთვნოდეს კონკურსანტს.

სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა, წამოაყენონ რაიმე სახის (ქონებრივ, არაქონებრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული) პრეტენზია გამოქვეყნებულ ესესთან დაკავშირებით;

კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებასა და კამპანიაში;

კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას და სამინისტროს გადასცემს უფლებას, მის მიერ გადმოგზავნილი ესე შემდგომში გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ;

გაცნობებთ, რომ საკონკურსო ნამუშევრის გამოგზავნით, კონკურსანტი ავტომატურად ეთანხმება კონკურსის პირობებს;

ესეების გამოგზავნა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად შემდეგი ფოსტის მისამართზე: **adamianisuflebebi@mia.gov.ge.** სათაურის ველში მიუთითეთ – „ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის“. საკონკურსო ნამუშევრების გამოგზავნა შესაძლებელია 26 ივნისის ჩათვლით.

**კამპანიას „ნუ წაართმევ ბავშვობას“ შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე მეხუთე წელია, ატარებს და მის უმთავრეს მიზნებს ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ კატეგორიის დანაშაულების შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა წარმოადგენს.“ – ნათქვამია შსს-ს გავრცელებულ ინფორმაციაში.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიღმის მასივი)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7984; ევრო - 3.0416;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5744;
100 რუბლი - 3.1513; თურქული ლირა - 0.0861;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6457;
1000 სომხური დრამი - 7.2124.

**ამინდი 7 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე +31 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +31 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე +33 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge